

თვედოსი ზუცესი

იანუარსა :კა: და აგვისტოსა :იგ:

**ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ  
აღმსარებაელისა მართლისა სარწმუნოებისაჲ  
წმიდისა და ნებაარისა მამისა ჩუენისა მამსიმიჲ\***



რავლისა ქებისა და ფრიადისა შეს-  
ხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრ-  
თისანი და მოღუაწენი სათნოებისანი  
და თანამდებ არს ყოველი კაცი ქებ-  
ითა და გალობითა და პატივითა აღსრულებად  
სა ცსენებელსა მათსა, რამეთუ ამას თუ ვიქმოდით,  
არა თუ ნეტართა მათ სარგებელ რადმე ვექმნებით,  
რამეთუ ამათ აქუს ქებაჲ მათი ღმრთისა მიერ,  
და შუებასა მას ზეცისასა იხარებენ, და არარაჲ  
სოფლიოდ ეკმარების, არამედ მაქებელნი ესე  
და შემასხმელნი მათნი უმეტესად თავთა თვსთა  
სარგებელ ვექმნებით, და მსმენელთა მოქალაქო-  
ბისა მათისათა ბაძვად მათისა მის სათნოებისა  
აღვადგინებთ, ამისთჳს კეთილ არს და სამართალ  
მოქალაქობისა და მოღუაწებისა წმიდათა მამათა  
და მოწამეთა აღწერად და მათი ქებითა და გალო-  
ბითა შესხმად. **წინადთგან უკუე ნეტარი მამად**  
**ჩუენი მამსიმი** აღმსარებელი დიდითა სათნოები-  
თა და მრავლითა მოღუაწებითა განბრწყინდა და  
შეერთო კრებულსა წმიდათა მოწამეთა და ღირს-  
თა მამათასა, თანამდებ ვართ ღირსისა მის და  
საღმრთოჲსა მოქალაქობისა მისისა აღწერად და  
შემდგომთა ნათესავთა სა ცსენებელი დატევებად.

2. **სე სანატრელი ნერგი შუენიერი** ღმრ-  
თის-მსახურებისა მორჩი ნაყოფიერი, მოღვაწები-  
სა ჭური რჩეული სიბრძნისაჲ, იშვა და აღიზარდა  
დიდსა მას ქალაქსა **კოსტანტინეპოლეს**. სცენეს  
მშობელნი მისნი დიდებულნი და ღმრთისმოყუ-  
არენი და ეწოდებოდა მამასა მისსა **იოვანე** და  
დედასა **ანა**; ამათ აღზარდეს კეთილი იგი შვილი  
საღმრთოჲთა სწავლითა და ასწავეს ყოველი სი-  
ბრძნე ფილოსოფოსთა პირველთაჲ.

ჴოლო იყო იგი სიჩრდითგანვე სავსე შიშითა  
და სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ამისთჳსცა არა-  
ოდეს შეექცეოდა სახიობათა და ლაღობათა მო-  
პასაკეთა თანა, არამედ დღე და ღამე, ვითარცა  
წერილ არს შჯულისა უფლისასა, იყო ნებაჲ მისი

და შჯულისა მისსა ზრახუნ იგი დღე და ღამე,  
ამისთჳსცა იქმნა იგი ვითარცა ხე დანერგული  
თანაწარსადინელსა წყალთასა და გამოცა ჟამსა  
თვსსა ნაყოფი შუენიერი (ფს. 1, 2-3) და ზეცისა  
საუნჯეთა ღირსი.

3. **ჴოლო მათ ჟამთა იყო მეფე პერაკლე,**  
რომელმან იგი **სპარსეთი** დაიპყრა და **ზუასრო**  
მეფე **სპარსეთისაჲ** მოკლა და **ზაქარია** პატრი-  
აქი **იერუსალჴმისაჲ** ტყუეობასაგან გამოიყვანა  
და ძელი პატიოსნისა ჯუარისაჲ, რომელი იგი  
**იერუსალჴმით სპარსეთს ზუასროს** წარეყვანა,  
კუალად მადლითა ქრისტჴსითა მოიყვანა და  
საუნჯე დიდძალი სამეუფოსა პალატსა დაუსუე-  
ნა, სადიდებელად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ-  
ესსა და სასოდ ყოველთა მორწმუნეთა; **ხოლო**  
ესმოდა მეფესა ყოველთაგან ღირსისა მის **მაქ-**  
**სიმეს** სიბრძნე და მეცნიერებაჲ და ფრიადი ღმრ-  
თის-მოყუარეობაჲ, მოუწოდა თვსა და იხილა და  
ფრიად შეიყუარა წესიერებაჲ და სიბრძნე მისი და  
აიძულა პალატსა მისსა ყოფად, და მისცა მას პა-  
ტივი, სამეუფოთა მწიგნობართა მთავრობაჲ, რა-  
მეთუ არს პატივი ესე დიდებულ და წარჩინებული.  
თა იყო ნეტარი იგი სათნო მეუფისა ზეცათაჲსა  
და საყუარელ და საკუთარ მეფისა მის **ბერძენ-**  
**თაჲსა**, და პატივცემულ ყოველთა მიერ, მრავალ  
კელმწიფეთა და მთავართა და ყოველისავე მკედ-  
რობისა, ერისთავთა და სპადპეტთა და ყოველთა  
მიერ საწადელ იყო და საქებელ.

4. **ჴოლო მათ ჟამთა უპირატეს წვალებაჲ**  
იგი **სებეროს** და **დიოსკორესი** გამოჩინებულ  
იყო ბოროტთა მათ და უთაოთა მწვალებელთაჲ:  
რომელნი იგი უვარ ჰყოფდეს ორთა ბუნებათა  
ქრისტჴსითა — ღმერთეებისა და კაცებისასა,  
და ერთსა შერეულსა ბუნებასა ქადაგებდეს და  
განკაცებასა უფლისასა უცნებით ქმნულად ჰგ-  
მობდეს. **ჴომლისათჳსცა** კრებაჲ იგი **ქალკიდ-**  
**ონისაჲ** იქმნა ექუსას ოც და ათთა მამათაჲ

\* კიმენი, I, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1918. გვ. 60-102.

მარკიანე მეფისა ზე, რომელთაცა შეაჩუენნეს და განკუთვნეს ბოროტნი იგი მწვალებელნი — დიოსკორე ალექსანდრიელი და ეპტკქიოს მამასახლისი და სებეროს ანტიოქელი და პეტროს აპამიელი და სხვანი იგი მიმდგომნი მათნი, იაკობ ვინმე და ტიმოთე, რომელსა წყოდებოდა მელი, და სხვანი ვინმე დრკუნი მოყუასნი მათნი, და ქადაგეს წმიდათა მათ მამათა ქრისტე მათნი ბუნებითა — სრული ღმერთი და სრული კაცი, უვნებელი ღმრთეებითა, რომელმან ცხოვრებისათჳს ჩუენისა იგნო ბუნებითა მით კაცობრივითა, რამეთუ ერთი გუაში იყო ორითა ბუნებითა, და მართალი ესე სარწმუნოებად დამტკიცებულ იყო წმიდისა მის კრებისაგან და კათოლიკე ეკლესიასა შინა იქადაგებოდა. ზუალად შემდგომად რაოდენთამე წელთა ისტკნიანე მეფისა ზე, იქმნა მებუთუ კრებად კოსტანტინეპოლეს ას სამეოც და ოთხთა წმიდათა მამათა, რომელთა დაამტკიცეს ყოველივე პირველთა მათ ოთხთა კრებათაგან დაწესებული, და სებეროს შეაჩუენნეს და ოროგინე და მსგავსნი მისნი, და მართალი სარწმუნოებად კმამაღლად ქადაგეს.

5. ორამედ პირველითგან მტერსა მას ნათესავისა კაცთაჲსა უძნდა კეთილად წარმატებად ქრისტეანეთად და მშდობად ეკლესიათად, ამისთჳსცა არა დასცხრებოდა ნათესავითი-ნათესავად თესვად თჳსისა მის ღუარძლისა და შემფოთებად კათოლიკე ეკლესიისა. სხილნა რად ვითარმედ ზემოწერილნი იგი წვალებანი შეიჩუენნეს და განიოტნეს წმიდათა მათ კრებათა მიერ, სხუად ღონე უკეთურებისა თჳსისად მოიპოვა და სხვთა კუალად სახითა შეამფოთა ეკლესიაჲ; რამეთუ მოიქცა რად ჰერაკლე მეფე სპარსეთით და იქცეოდა იარაპოლეს ასურეთისასა, შემდგომად დიდთა მათ განმარჯუებათა და ძლევათა, რომელ მოეცნეს მას, იყო ვინმე ათანასე სახელით მთავარეპისკოპოსი იაკობიტთაჲ, კაცი ბოროტი და მანქანად და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, აღვსებული ასურასტანელთა მისნობითა. შისა მიმართ სიტყვსკებაჲ ყო მეფემან სარწმუნოებისათჳს და ეტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ შეიწყნარო კრებაჲ ქალკიდონისად, დაგადგინო შენ პატრიარქად ანტიოქიისა. ღოლო ბოროტმან მან ათანასე ორგულეებით იჩემა და შეიწყნარა კრებაჲ იგი და რეცა აღიარნა ორნი ბუნებანი ქრისტეშისნი შეერთებულნი ერთსა მას გუამსა. ღოლო ჰკითხა მეფესა და ჰრქუა: «აჰა, ორთა ბუნებათა აღვიარებ; ნებისათჳს და საქმისა ვითარ იტყვ, ორი ჯერ-არს თქუმად ქრისტეშისთჳს ანუ ერთი?»

ხოლო მეფე მკედრობათა და ბრძოლათა შინა აღზრდილი იყო და ესე სიტყუად არდა სმენილ იყო ეკლესიასა შინა, უცხოდ უწნდა კითხვად იგი, მიუგო და ჰრქუა მას: «ეგე სიტყუად, რომელსა იტყვ, არდა მოწვეწულ არს ჩემდა, არამედ პატრიარქსა მიუწერო, დრო მეც ვიდრე პასუხი მოიწიოს».

6. სყო მათ ჟამთა კოსტანტინეპოლეს პატრიარქად სერგიოს, ნათესავით ასური, მშობელთაგან იაკობიტთა შობილი. ოღზრდილ იყო იგი კოსტანტინეპოლეს და ესწავა სწავლად ბერძული, და მიემთხვა პატრიარქობასა და აქუნდა შინაგან ესვეითარი წვალებად, და ერთსა ბუნებითსა ნებასა და ერთსა საქმესა იტყოდა ქრისტეშისთჳს. 15 სოდა ესე ბოროტმან მან ათანასეცა, ამისთჳს წინა უყო სიტყუად იგი მეფესა, რამეთუ იცოდა, ვითარმედ უკუეთუ დაარწმუნოს რადთ მეფესა ერთი ნებაჲ თქუმად და ერთი საქმე, ორთა ბუნებათა აღსარებაჲ არა იქმნების, რამეთუ ბუნებაჲ 20 უნებელი და უსაქმოჲ არა არს, არამედ უკუეთუ ბუნებანი განყოფილად ითქუმოდინ, თითოეულსა ბუნებასა ნებაჲ თჳსი აქუს და საქმე თჳსი. ჭკუეთუ კულა ერთი ნებაჲ ვინ თქუას და ერთი საქმე, ორთა ბუნებათა აღსარებასა დაჰჳსნის. 25 მას სიწლოსა მეფე იგი უმეცარ იყო, მიუწერა სერგიოსს პატრიარქსა კოსტანტინეპოლისასა; ხოლო მან პასუხი ესვეითარი მისცა, ვითარმედ ერთი ნებაჲ და ერთი საქმე ჯერ-არს თქუმად ქრისტეშისთჳს. სე პასუხი მიიწია რად მეფისა, მოუწოდა კეროზსცა ალექსანდრიელსა და ჰკითხა ამის ჯერისათჳს, და ჰოვა იგიცა თანამოწამედ სერგისისა და უმეცრებაჲ შეემთხვა ჰერაკლე მეფესა, და შეიწყნარა სიტყვად სერგისისი და კეროზისი. 30 შიუწერა ესე სიტყუად იოვანეს პაპასა პრომისასა, ხოლო მან არა თავს-იდვა ესე, არამედ შეაჩუენა ესვეითარი წვალებად და მოუწერა მეფესა, ვითარმედ: «ვითარცა იგი ორთა ბუნებათა აღვიარებთ ქრისტეშისთ, ჯერეთვე ორსა ნებასა და ორსა საქმესა, რამეთუ არა არს ბუნებაჲ 40 უნებელი და უსაქმოჲ». ჯერეთვე სოფრონ პატრიარქმან იმერუსალიმისამან ესე რად ცნა, შეკრიბა ყოველი სამრევლოდ თჳსი და შეაჩუენნა მეტყუელნი ერთისა ნებისანი, და ებისტოლენი მიუწერნა სერგისსა კოსტანტინეპოლელსა და 45 იოვანეს პრომაელსა, ჯერეთვე მეფესა ჰერაკლესცა. სმა რად ესე ყოველი მეფესა, შეწუხნა და ვერ გულისკმა-ჰყოფდა, თუ რომელთა სიტყუად დაამტკიცოს — პრომისა და იერუსალემისად ანუ კოსტანტინეპოლელისა და ალექსან-



**დრიელისაჲ.** ოსე განიზრახა და პგონებდა, თუ კეთილსა რასმე იქმს. ოაწერა ბრძანებაჲ, რადთა არცა ერთსა ნებასა და საქმესა იტყოდინ, არცა ორსა. ოსე ბრძანებაჲ წარიკითხეს **სებეროზის** მოწაფეთა და იტყოდეს უბანთა ზედა: «პირველ **ნისტორის** თანაეწამებოდეს **ქალკიდონელნი** და მცირედ გულისკმა-ყვეს, და შეიწყნარეს ჭეშმარიტი სიტყუად და შეგუერთნეს ჩუენ, ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა აღსარებითა ერთსა ბუნებასა, ხოლო აწ კუალად შეინანეს და ორივე წარწყმიდეს და არცა ერთსა, არცა ორთა აღიარებენ ბუნებათა».

7. ჰაშინ აღესრულა **სერგი კოსტანტინეპოლელ** პატრიარქი და დაიპყრა საყდარი იგი **პიროს**, რომელმან იგი **სერგის** და **კეროზის** სარწმუნოებაჲ უშჯულოდ დაამტკიცა. ჰას ჟამსა აღესრულა **პერაკლშ** მეფეცა და მეფობდა **კოსტანტინე** — ძე მისი, ხოლო **პიროს** პატრიარქმან თანაშეწვენი — **მარტინა** სეფექალისაჲთა მოწამლეს იგი და მოკლეს და დასვეს მეფედ **პერაკლონა** ძე **მარტინასი**. ღოლო მთავართა და მკედართა და ერსა სამეუფოჲსა ქალაქისასა შეუძნდა საქმე ესე და შეითქუნეს, და **პიროს** უშჯულოდ და **მარტინა** და ძე მისი განდევნეს ქალაქისაგან, და მეფე ყვეს **კოსტა**, ძე **კოსტანტინესი** და პატრიარქად დაჯდა **პავლე** სახელით, იგიცა მწვალებელი ზემოწერილითა მით წვალებითა.

8. ღოლო ესე საქმენი ესრე სახედ რად იქმნებოდეს, მაშინ **მაქსიმე** ჭეშმარიტმან ფილოსოფოსმან სიტყვით და საქმით და გულისკმის-ყოფით დაამტკიცა წესი ფილოსოფოსობისა თჳსისაჲ. ჰამეთუ იყო იგი წარჩინებულ და ყოველთა უპატიოსნეს სამეუფოსა პალატსა შინა, უმეტესადღა გულად ილო შიში ღმრთისაჲ და ვითარცა მეფსალმუნე იტყვს, წინაჲსწარ ზედვიდა უფალსა წინაშე მისსა მარადის (ფს. 15,8). ზილა რად, ვითარმედ წვალებისა იგი ბადენი განეფინებოდეს ყოველგან და საცთური იგი ერთისა ბუნებისა მეტყუელთაჲ, რომელი წმიდათა მამათა მრავლითა შრომითა და ოფლითა ძლით დააცხრევს, კუალად განაზღდებოდა უდებებითა და ვერაგობითა მპყრობელთაჲთა და გუჯარსა დაწერეს და ეზოსა **სოფია** წმიდისასა აღჰმართეს ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა აღსარებაჲ და ამით ჯერითა ორთა ბუნებათა აღსარებაჲ დაჰკვნეს. ჯჳმნა პალატისაგან და ყოველისა სოფლიოჲსა საქმისა, და ყოველივე საფასე და მონაგები მისი განუყო გლანაკთა, სიტყვსა მისებრ უფლისა, და აღილო ჯუარი თჳსი და შეუდგა ქრისტესა, და მონას-

ტერსა მას, რომელსა **ზრვსოპოლი** ეწოდების, მონაზონებისა სახე და საქმე შეიმოსა; და ყოველი წესი სათნოებისა და მოღუაწებისაჲ სრულებით მოიგო. ჟყო სამოსელი მისი შინაგან ძაძაჲ, ხოლო გარეგან სახილველად კაცთა ჩოჴად; საზრდელი მისი პური ჴმელი, და მცირედი მხალი უგბოლველი, და მიიღებდა საზრდელსა მას ორ-ორით, გინა სამ-სამით და ოდესმე ხუთ-ხუთით, ხოლო ღვინისა და თევზისა და ხილისა და სხუათა ყოველთა სანოაგეთაგან უცხო ყო თავი თჳსი. ძღვძარებაჲ და ლოცვაჲ ესოდენ შეიტკბო, ვიდრეღა ღღე და ღამე ესე აქუნდა საქმედ, რამეთუ კნინ ოდენ მიერულის ზეჯდომით და მეყსეულად აღდგის ლოცვად და გალობად. სიმდაბლე მისი ესოდენ იყო, რომელ უდარეს ყოველთა შეერაცხა თავი თჳსი და უკუეთუმცა ყოველთა უდარესი კაცი შეემთხვის, მონაზონი გინა ერისკაცი, ვითარცა მრწემი და შეურაცხი ყვის მის წინაშე თავი თჳსი. ღოლო სიყუარული ყოველთა მიმართ ესვეითარი აქუნდა შეყვარებულსა მას ღმრთისასა, ვიდრეღა უცილობელად აღასრულებდა სიტყუასა მას, ვითარმედ: «შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი» (მთ. 22, 39). ოე, ნანდვლვე «შეიყვარა მან ღმერთი ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონებითა და მოყუასი ვითარცა თავი თჳსი» (მთ. 22, 37), და წამებენ მის მიერ აღწერილნი სიყუარულისათჳს სწავლანი მისისა მის გულისა სიყუარულითა საესებასა. ოსე ორნი სათნოებანი შეიტკბნა უმეტეს ყოვლისა — სიმდაბლე და სიყუარული; ამისთჳსცა ერთმან მან აღამაღლა და მეორემან სიმადლისა მისგან სათნოებათაჲსა გარდამოვრდომად არღარა შეუნდო, არამედ ღღითიღღე ამალღდებოდა და აღემატებოდა, ვიდრეღა მიიწია ჭეშმარიტსა მას სრულებასა და წამებისაჲცა გკრვკნსა ღირს იქმნა და კრებულსა ქრისტეს აღმსარებელთასა შეერთო, ვითარცა ქუემორე სიტყუამან გამოაჩინოს.

ჰაშინ უკუე ზედვიდეს რად სათნოებათა და მოღვაწებათა მისთა და წყაროსა მას მოძღურებისასა, რომელ აღმოეცენებოდა პირით მისით, მონაზონნი იგი მის მონასტრისანი და ყოველნივე მაზლობელნი და შორიელნი მოვიდოდეს მისა და აღიესებოდეს სარგებელითა სულიერითა. ღოლო მეფემან მონასტერი იგი **ზრვსოპოლისაჲ** ნეტარსა **მაქსიმეს** მიანიჭა და ღღითა პატივითა პატივ-სცემდა. ორამედ ღმერთმემოსილი იგი ზედვიდა რად სამეუფოსა მას ქალაქსა და ყოველთა სანახებთა მისთა, რამეთუ იღელვებოდეს ბოროტისა მის წვალებისაგან, მრავალგზის ამზი-

ლა მეფესა და პატრიაქსა და ევედრებოდა, რადთა დასცხრენ ესევეთარისა მისგან დრეკილისა და დრკუდსა წვალეებისაგან და აღიარონ ქრისტეზ ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა და ორითა საქმითა, სრული ღმერთებითა და კაცებითა, და მრავალნი სიბრძნისა და გულისკმის-ყოფისა სწავლანი ამის ჯერისათვის წარმოუთხრა. ზილნა რად იგინი, რამეთუ ყვნეს გულნი მათნი მსგავს გულისა მის ასპიტიისა ყრუდსა, რომელსა არა ესმინ ვმად მსახრვალისა კელოვნისად, არცა მიიღის წამალი წამლის-მცემელისაგან ბრძნისა და არა ინებეს გზასა მას ჭეშმარიტებისასა სლვად, აღიესო გული მისი საღმრთოდთა შურითა, ვითარცა იტყვს **დავით** წინაწარმეტყველი: «რამეთუ მშურდა მე უკეთურთად და მშვდობასა ცოდვილთასა ვხედვედ: შეიმოსეს უღმრთოებად და სიცრუევ და გამოვდეს ვითარცა ცმელისაგან სიცრუევენი მათნი, რამეთუ ვიდოდეს იგინი ზრახვითა გულისა მათისადთა, ზრახეს და თქუეს უკეთურებად და სიცრუევსა მაღლად რად იტყოდეს» (ფს. 72, 6-8).

9. ზევეთარი რად გონებაცთომილებად მათი იხილა, იგზნა სრულიად ქალაქით **კოსტანტინეთ** და ყოვლისაგან **საბერძნეთისა**, რამეთუ ეუწყა ნეტარსა მას, ვითარმედ დიდი იგი ქალაქი **პრომი** და სანახებნი მისნი მართალსა სარწმუნოებასა ქადაგებენ და ღუარძლსა მას წვალეებისასა არა შეიწყნარებენ. ჟეწვენითა ღმრთისადთა წარემართა და მიიწია **პრომედ**, და პოვა მუნ უდაბნოდ მყუდროდ, დაემკვდრა ქუაბსა ერთსა მის უდაბნოდსასა დაყუდებით და იზარდებოდა თივათაგან მცენარეთა მის უდაბნოდსათა და მწუერვალთაგან ხეთადსა და თაფლითა ველურითა, რომელი იპოებოდა მაღნართა მათ შინა. მსგავსად დიდისა მის ნათლისმცემლისა იყო საზრდელი მისი. ზემდგომად მცირედისა ჟამისა განითქუა სახელი სათნოებისა მისისა და ქუეყანასა მას და მოვიდეს მისა ორნი ძმანი კეთილნი და სახიერნი, ურთიერთას სეხნანი, რამეთუ ორთავე **ანასტასიოს** ეწოდებოდა, და ევედრნეს ნეტარსა მას ვედრებითა ფრიად ღმობიერითა, რადთა შეიწყნარნეს იგინი მოწაფედ და მსახურად, ხოლო წმიდად **მაქსიმე** წადიერ იყო მარტოდ-ყოფასა, არამედ გულსავსე ყო იგი სულმან წმიდამან, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოვლინებულ არიან ძმანი იგი, ერთი მღუდელი იყო და ერთი დიაკონი. ჴერ ეგებოდა წინააღდგომად ბრძანებისა საღმრთოდსად, ნება სცა მათ, ხოლო იგინი აღიესნეს სიხარულითა და აღაშენეს ადგილსა მას მცირე სენაკი მახლობელად ქუაბისა მის და მუნ დაემკვდრნეს

ვითარცა სამოთხესა შინა საშუებელისასა; და ისწავეს ნეტარისა მისგან მოქალაქობად ანგელოზებრივი, და იქმნეს ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი. «არა სცეს ძილი თუალთა მათთა, არცა პრული წამთა მათთა» (ფს. 131, 4), არცა განსუენებად კორცთა მათთა, ვიდრემდის მიემთხვნეს სისრულესა უენებელობისასა და სიმაღლესა გულისკმის-ყოფისასა მოძღურებითა დიდისა **მაქსიმესითა**. ღოლო იყვნეს იგინი ნათესავით **ბერძენნი**, არამედ მრავლით ჟამითგან **პრომი** დამკვდრებულ იყვნეს მუნ მყოფთა მათ მონასტერთა. ჴინი მოირეწდეს მეცნიერთაგან თვსთა მცირედსა საზრდელსა კორცთასა და აიძულებდეს ნეტარსა **მაქსიმეს** მიღებად, რადთა არა სრულიად განკაფნეს კორცნი მისნი უზომოდთა მით მარხვითა. ჩანდვილვე აღესრულებოდა მათ შორის სიტყუად იგი უფლისად, რომელსა იტყვს: «უკეთუ შეითქუნენ ორნი ანუ სამნი თქუენგანნი სახელსა ზედა ჩემსა, მუნ ვარ მე შორის მათსა» (მთ. 18, 20); ჭეშმარიტად ქრისტე იყო შორის მათსა.

10. ძაშინ იწყო წმიდამან **მაქსიმე** წერად ებისტოლეთა დამამტკიცებელთა მართლმადიდებლობისათა და დამკვნელთა ყოვლისა წვალეებისათა სავსეთა საღმრთოდთა სიბრძნითა და მიუძღუნა კელითა კეთილთა მათ ძმათადთა ებისკოპოსთა და კათალიკოზთა ყოვლისა ქუეყნისა **პრომისასა** და უმეტესად დიდსა მას ჭალაკსა **სიკილიისასა**. ჴრეთვე მღუდელთა მიმართ და ერის-კაცთა იჭუეულთა განამტკიცებდა და მტკიცითა სარწმუნოებითა შურად საღმრთოდ აღადგინებდა, და ვინადცა მიიწინიან ებისტოლენი მისნი, ესრეთ შეიწყნარიან ვითარცა წმიდისა მოციქულისა **პავლესნი**. ჴრეთ იყოფოდა რად და რწმუნებულსა მას მისდა ტალანტსა მრავალწილად აღაორძინებდა. ჴუენებასა შინა ღამისასა წარმოუდგა მას ანგელოზი ღმრთისად და ჰრქუა: «**მაქსიმე**, მონაო ღმრთისაო, რადსათავს შეწყუდეულ ხარ ამას უდაბნოსა და შენსა ხოლო სულსა აცხოვნებ და შენ თანა მყოფთა ამათ ორთა ძმათა და სოფელი ყოველი იღელეების ბოროტითა წვალეებითა. ღრძანებითა ღმრთისადთა აღდგე და შევედ ქალაქად **პრომედ**, არქუ პაპასა **იოანეს** და იღუაწეთ მართლისა სარწმუნოებისათვის, რადთა გვრგვნი მართლადმსაარებელთად მიიღოთ ქრისტესგან». ჴე ჩუენებად იხილა რად და მიუთხრა **ანასტასიოსს** და **ანასტასიოსს**, ილოცეს სამდღე და ევედრნეს უფალსა, რადთა წარუმართოს. ჴლიძრნეს მიერ მრავლითა მწუხარებითა, რამეთუ ფრიად უყუარდა ადგილი იგი



მეფედრობისათვს და უდბნობისა, და შვეიდეს **პრომედ**. ზუწყა **იოჲანეს** პაპას მოსლგად ნეტარ-ისა **მაქსიმესი** და მიეგება სიხარულით, რამეთუ მრავალგზის ასმიოდა სახელი საღმრთოდა მის მოქალაქობისა მისისა და წარუკითხნეს ებისტოლენი მისნი სავსენი ღმრთისმეტყუელებითა. ოა შე-რად-ვიდა ნეტარი **მაქსიმე** წინაშე პაპადსა და ყვეს ლოცვად და დასხდეს სიტყუად, და აღალო ღირსმან მან პირი თვსი და აღავსნა მადლითა საღმრთოთა პაპად და ყოველნი მის თანა მყოფნი. **ხოლო** პაპა მისცა სავანე მეფედროდ მახლობელად თვსა მონასა მას ღმრთისასა და სწავლითა და მოღუაწებითა მისითა შეკრიბნა ყოველნი ებისკოპოსნი, რომელნიცა იყვნეს ქუეყანასა **პრომისასა**, და ყვეს კრებად დიდი ებისკოპოსთა და მღვდელთა და შეაჩუენეს წვალებად იგი ერთისა ბუნებისა და ნებისა მეტყუელთა.

11. **ხოლო** შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, აღესრულა **იოჲანე** პაპად და იკურთხა **თეოდორე** პაპად **პრომისა**, ხოლო წმიდად **მაქსიმე** განგებითა უფლისადა წარვიდა **აფრიკითს** და ქადაგებდა მუნ მართლმადიდებლობასა და მორწმუნეთა დაამტკიცებდა, ვითარცა იგი **პრომს** ქადაგებდა. **ხოლო** მოსლგასა მას მისსა, შეემთხვა **პიროსს კოსტანტინეპოლელს** პატრიარქსა, რომელი განდევნებულ იყო მიერ, ვითარცა ზემო ვაცსენეთ, და იქმნა მათ შორის სიტყვსკებად სარწმუნოებისათვს, რომელი იგი სიტყვსკებად აწ აღწერად ცხოვრებისა ამის თხრობასა შინა არა ჯერ-მიჩს, რადთა არა დაიხრწიოს სიტყვსა ამის განწესებად, ხოლო აღვასრულო რად სულიერი ესე თხრობად, მერმე სიტყვსკებადცა იგი აღვწერო, რამეთუ ნუსხად მისი დაუკლებელად მაქუს. **ქას** უკუე ჟამსა ვითარცა იქმნა მათ შორის სიტყვს-გებად იგი, დაარწმუნა წმიდამან **მაქსიმე** **პიროსს** და ამხილა ბოროტად-მეტყუელებად მისი, და მოაქცია აღსარებად მართალსა მას სარწმუნოებასა და წარავლინა იგი თვსითა ებისტოლითა **თეოდორეს** მიმართ **პრომთა** პაპისა. **ჰოვიდა** **პიროს** **პრომედ** და შეერთო პაპას და დაწერა კელის-წერილი, აღსარებად მართლისა სარწმუნოებისა და შეჩუენებად თვსისა მის წვალებისა; **ესრეთ** შეიწყნარა იგი ღირსმან **თეოდორე** და აზიარა ეკლესიასა თვსსა. **შემდგე** რაოდენთამე დღეთა მოიკითხა პაპად და წარვიდა **პიროს** **პრომით**, რამეთუ ენება **საბერძნეთს** აღსლგად და აღუთქუა პაპსა, რადთა ილუაწოს დამტკიცებად მართლადსაარებისა. **ხოლო** მიიწია რად **რაბენს**, დაივიწყა უბადრუკმან აღთქმად თვსი და კელის-წერილი და ვითარცა

მადლი თვსსავე ნათხევარსა მიიქცა. **ზუწყა** ესე **თეოდორე** პაპას და შეკრიბა ყოველი სავსებად ეკლესიისა, და შევიდა სამარხოსა **პეტრესსა** თავისა მის მოციქულთადა და მოითხოვა წმიდად ბარძიმი და დააწო კალამი ცხოველს-მყოფელსა მას სისხლსა თვსითა კელითა, და დაწერა განკუეთად **პიროსისი** და ყოველთა თანაზიართა მისთა. **ხოლო** **პიროს** აღვიდა [რად] **კოსტანტინეპოლედ**, იქმნა სიკუდილი **პავლესი**, რომელი იყო მუნ პატრიარქად, და ხარკებითა ემაკისადათ დასუეს კუალად **პიროს** პატრიარქად **კოსტანტინეპოლისა** და შეემთხვა სამეფუფოსა მას ქალაქსა დიდი საცთური და უბადრუკებად; **ხოლო** მართლმადიდებელსა მას დედაქალაქსა **პრომს** იქადაგებოდა მართალი სარწმუნოებად. **წღესრულა** პაპად **თეოდორე** და დასუეს საყდარსა მას **პეტრე** მოციქულისსა მღვდელთ-მოდღურად ღმერთშემოსილი და წმიდად **მარტინე**.

12. **ქაშინ** ნეტარი **მაქსიმე** მოიქცა **აფრიკითთ** და შეერთო წმიდასა **მარტინეს**, და აღძრა იგი საღმრთოთა შურიტა და ყვეს კრებად ას ერგასისთა ებისკოპოსთა, და შეაჩუენეს **სერგიოს** და **პიროს** და **კკროზ** და **პავლე** მწვალელებნი და მათი იგი წვალებად, და ორი ბუნებად ქრისტესნი და ორი ნებად და ორი საქმშ კმამაღლად ქადაგეს. **ოა** განითქუა მართლისა მის სარწმუნოებისა აღსარებად ყოველსა სოფელსა, ხოლო უკუეთუ ვის ენებოს კრებისა მისთვს კეთილად უწყებად, აღიღენ წიგნი იგი კრებათა და აღმოიკითხენ და კეთილად გულისკმა ყოს. **ჰიერიტგან** ნეტარი **მაქსიმე** იყოფოდა **პრომს** და აღწერა წიგნები ბოროტისა მის წვალებისა დამკსნელი და გამოაჩინა განცხადებულად, ვითარმედ სრულიად უცხო არიან ღმრთისაგან მეტყუელნი ბოროტისა მის ზრახვისანი, ხოლო ებისტოლენი და განწესებანი, სავსენი საღმრთოთა სიბრძნითა და გულისკმის ყოფითა, მიმსგავსებულნი ებისტოლეთა **პავლე** მოციქულისათა, ყოველსა სოფელსა მიუწერნა, მღვდელთ-მოდღურთა და მთავართა და ეკლესიათა ქადაგებად მართლისა სარწმუნოებისა. **ჰერმე** კუალად სწავლანი სულიერნი საღმრთოდა მოქალაქობისა და ყოვლისა სათნოებისათვს მრავალი აღწერა და კეთილად განაწესა, თუ ვითარ ჯერ-არს მოქალაქობად ქრისტეანეთად, და მრავალნი განმარტებანი წმიდათა წერილთანი და სწავლანი მონაზონებისანი აღწერნა. **ოა** იყო იგი ახალი **ოქრობირი**, პირველისა მის **ოქრობირისა** მსგავსი; აქუნდეს თანაშემწედ და ქუეყნითი-ქუეყნად მიმწვენელად ებისტოლეთა მისთა ზემოწერ-

ილნი იგი სეხნანი ანასტასიოს და ანასტასიოს, რომელთა იგი ვიდრე აღსასრულადმდე იღუაწეს წმიდასა მაქსიმეს თანა. ჰრავალნი უკუე ზოლო სასწაულნი და კურნებანი სენთან ქმნა უფალმან აფრიკეთს და ვიდრე პრომადმდე და თავდა-  
 5 სა პრომს შინა ჴელითა ნეტარისა მაქსიმესითა, ვითარცა წამებენ ყოველნი მკვდრნი პრომისანი და სანახებთა მისთანი. ოა თუთ იგინი მის მიერ განკურნებულნი კმამაღლად ქადაგებენ, რამეთუ იყო იგი სიტყუთ და საქმით და გონებით ჴეშმარი-  
 10 ტი მონა ღმრთისად, და აღესრულებოდა მის ზედა საქმით სიტყვად იგი უფლისად, რომელსა იტყვს, ვითარმედ: «ყოველი მწიგნობარი, რომელი მოწაფე ყოფილ არს სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან მოიღ-  
 15 ის საუნჯისაგან თვისსა ძუელი და ახალი» (მთ. 13, 52). ნეშმარიტად ესე იყო მწიგნობარი იგი მოწაფე ყოფილი სასუფეველსა ცათასა და სხუ-  
 ადცა იგი იგავი უფლისად კეთილად მოეზავების საქმესა ღირსისა მაქსიმესსა. ჴითარმედ «მსგავს  
 20 არს სასუფეველი ღმრთისად კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილსა მარგალიტსა, და პოვა რად ერთი მარგალიტი მრავალსაწყიდლისად, წარვი-  
 და და განყიდა ყოველი რად აქუნდა, და მოიყიდა იგი» (მთ. 13, 45-46). ჩანდვლვე ნეტარმან  
 25 ამან ყოველი სოფელი და თავიცა თუქი მისცა და უსასყიდლოდ იგი მარგალიტი, ქრისტე, მოიგო და სახელისათუქ მისისა იღუაწა ვიდრე სიკუდილადმდე.

13. ღოლო მეცხრესა წელსა მეფობისა კოსტაძს ძისწულისა ჴერაკლემისსა ეუწყა მას ყოველი, რად იქმნა პრომს შინა და აღოსო გულის-წყ-  
 რომითა და წარავლინა მკედრობად და ბრძანა, რადთა წმიდად მარტინე და ნეტარი მაქსიმე აღ-  
 მოიყვანნენ კოსტანტინეპოლეს. ღოლო მოიწინეს  
 35 რად ღირსნი იგი მამანი სამეუფოდ ქალაქად, ფრიაღნი ტანჯვანი და შეურაცხებანი და გინე-  
 ბანი შეამთხვნეს წმიდასა მარტინეს უღმრთო-  
 თა მათ, რომელთა ყოვლადვე არა მოიცხენეს საუკუნოდ იგი საშველი, ვითარცა თითოეულად  
 წერილ არს ცხორებასა შინა წმიდისა მარტინეს-  
 40 სა, და ექსორია ყვეს იგი ბრძანებითა მეფისადთა ქერსონეთს და მრავალნი სხუანიცა ებისკოპოს-  
 ნი პრომთან ტანჯნა უგუნურმან მან მეფემან. ღოლო წმიდად მაქსიმე, მოიწინეს რად კოსტან-  
 ტინეპოლედ დასლვასა ოდენ მზისასა, მოიწინეს ორნი მეტრძმლენი და ათექუსმეტნი მკვრცხლნი და  
 45 განიყვანნეს იგინი ნავისაგან, მაქსიმე და მოწაფე-  
 ნი მისნი, შეურაცხებით უკამლონი, და განყვნეს

ურთი-ერთას და შეაყენნეს კაცად-კაცადი თუქსა-  
 გან ადგილსა მას, რომელსა ექსოვიტ ქოდების. ოა შემდგომად მცირედთა დღეთა აღიყვანნა იგინი  
 პალატად პროტოსპათარმან მან, რომლისა დარ-  
 5 წმუნებულ იყო დამარხვად მათი. ღოლო მეფემან უბრძანა საკელარსა განკითხვად მათი, შეიყვანეს  
 ნეტარი მაქსიმე წინაშე ოქროტაპრისა, სადა იგი შეკრებულ იყვნეს მთავარნი და კელმწიფენი და  
 10 ერი მრავალი, და წარმოადგინეს იგი წინაშე მთა-  
 ვართასა. სრქუა მას საკელარმან რისხვით და გუ-  
 ლის-წყრომით: «ქრისტეანც ხარა?» მიუგო წმი-  
 დამან: «მადლითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისადთა  
 15 ქრისტეანც ვარ». სრქუა მას საკელარმან: «ნუ იყოფინ, არა მრწამს თუ შენ ქრისტეანც ხარ». მიუგო მონამან ქრისტესმან: «შენ არა გრწამს,  
 გარნა ღმერთმან უწყის, ვითარმედ ჴეშმარიტად  
 ქრისტეანც ვარ». სრქუა მას საკელარმან: «უკუე-  
 თუ ქრისტეანც ხარ, რადსათუქ გძულს მეფე?»  
 20 მიუგო მონამან ღმრთისამან და პრქუა: «ვინად  
 უწყი შენ თუ მეფე მძულს, რამეთუ სიძულილი  
 ზრახვად და წესი არს შინაგანისა სულისად, და-  
 ფარული ვითარცა იგი სიყვარულიცა, შენ უკუე  
 25 სულისა ჩემისა განზრახვად ვინად უწყი?» პრ-  
 ქუა მას საკელარმან: «საქმეთაგან, რომელნი  
 ჴქმნენ, საცნაურ იქმნა ყოველთა მიერ, ვითარმედ  
 მოძულც ხარ მეფისად და ყოვლისა სამეუფოდ-  
 30 სა მისისად, რამეთუ შენ მხოლომან ჴვბტც და  
 ალექსანდრიად და ზუთქალაქი და ტრიპოლც  
 და აფრიკეთი სარკინოზთა მიეც». მიუგო წმი-  
 დამან მაქსიმე: «და ვითარ სახედ მოესცენ მე ჴვე  
 ყოველნი ქუეყანანი სარკინოზთა, გამოაჩინე და  
 35 მამხილე». ოა წარმოადგინეს იოჴანე, რომელი  
 ყოფილ იყო ერისთავი აფრიკეთისად, რომელი  
 იგი იტყოდა, ვითარმედ: «უწინარეს ოც და ორი-  
 40 სა წლისა, პაპამან ღმრთივ-დაცვულისა მეფისა  
 ჩუენისამან უბრძანა ნეტარსა პეტრე პატრიკსა,  
 რადთა აღიღოს მკედრობად და წარვიდეს ჴვბტ-  
 ედ ბრძოლად სარკინოზთა, ზოლო პეტრე მიგი-  
 წერა შენ წიგნი, რამეთუ გულისავსე იყო შენდა  
 45 მომართ და კაცად ღმრთისა გიწესდა და გკითხა,  
 უკუეთუ ქწამებია წარსლვად და მიუწერე შენ ესე-  
 ვითარი პასუხი, ვითარმედ: ნუ იქმ მაგას საქმესა,  
 რამეთუ არა სთნავს ღმერთსა დღეთა ჴერაკლეს-  
 თა და ნათესავისა მისისა მათ ქუეყანათა შეპყ-  
 50 რობად». მიუგო მონამან ღმრთისამან: «უკუეთუ  
 ჴეშმარიტ არს სიტყუად შენი, დასტურად გაქუს  
 წიგნი პეტრესი, ჩემდა მოწერილი და ჩემი მისდა  
 მიმართ, გამოიღე და წარიკითხონ, და თანამდებ  
 ვარ სატანჯველისა». სრქუა მას ერისთავმან მან:



«წიგნები არა მაქუს, არცა მიხილავს წიგნი, გარნა მას ჟამსა ყოველნი მკედარნი იტყოდეს ამას სიტყუასა». **ჰიუგო** მონამან ღმრთისამან **მაქსიმე**: «მკედართაგანი მაგას სიტყუასა არაჲნი იტყვს, ვითარ შენ მართოდ ცილსა სწამებ; გიხილავ სადაა ანუ მე შენ?» **ჰან** პრქუა: «ნუ იყოფინ, არა სადა». **ჰან** მიიქცა ნეტარი **მაქსიმე** სხუათა მათ მთავართა და პრქუა: «სამართალი არს ესევეთართა მოწამეთა და შემასმენელთა წარმოდგინებად? საჯეთ და განიკითხეთ, რამეთუ «რომლითაღცა განკითხვითა განიკითხოთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ» (მთ 7, 2), — თქუა უფალმან ჩუენმან». **ჰან** წარმოადგინეს **გიორგი** ვინმე მალუდასი, და თქუა, ვითარმედ: «პირველ ცხრისა წლისა მოვიდა აბბა **თომა** **ჰრომი**თ და მითხრა, ვითარმედ: **თეოდორე** **ჰრომი**სა პაპამან მიუწერა **გრიგოლ**ს პატრიკსა, ვითარმედ: ნუ ვისგან გეშინინ, რამეთუ მონამან ღმრთისამან **მაქსიმე** იხილა სიზმარი, ვითარმედ ცათა შინა დგა დასი ანგელოზთად, ერთი აღმოსავალსა და ერთი დასავალს, და აღმოსავლისანი იგი იტყოდეს: **კოსტანტინე** მეფე ცხონდინ; და დასავლისანი იტყოდეს: **გრიგოლ** მეფე ცხონდინ; და გაძლიერდეს ემანი იგი დასავალეთნი და აღმოსავალეთნი დადუმნეს». **ჰან** ვმა ყო საკელარმან: «მოგიყვანა ღმერთმან, მონაზონო, დაწუვად ქალაქსა ამას შინა ცეცხლითა». **ჰიუგო** მონამან ღმრთისამან: «ვკმადლობ ღმერთსა, რადთა განმწმიდოს მე ნებსითთა ბრალთაგან უნებლიეთთა სატანჯველთა მიერ, გარნა რასა იტყვს სული წმიდად პირითა **დავით** წინაწარმეტყუელისადა: «წარსწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყვან სიცრუევსა» (ფს. 5,6). ნეშმარიტად არა ჯერიყო ესევეთართა სიტყუათა თქუმად სასმენელად ქრისტეანეთა და ესოდენტა მათ მთავართა, არცა უტანჯველად დატევებად ესევეთარისა ტყუვილისა შემწმასნელთა. **წმ**თ სიტყუათა ჯერიყო მაგის კაცისა და სიცოცხლესა **გრიგოლის**სა თხრობად მეფისა, რადთამცა აწუენა ერთგულეზად, არა აწ შემდგომად აღსრულებისა მისისა. **წწ** უკუეთუ თქუენცა ჯერიგინს, სამართალი ესე არს, რადთა აიძულთ პირველი იგი ცილისმწამებელი მოყვანებად **პეტრე** პატრიკისა და ამან წარმოადგინენ აბბა **თომა** და **თომა** წარმოადგინოს ნეტარი **თეოდორე** პაპად და კაცად-კაცადმან შემწამოს, **პეტრე** წიგნი იგი მიწერილი გამოიღოს და ნეტარსა პაპას ვპკითხო და ვპრქუა: თქუ მამათმთავრო, გესმა ჩემგან ესევეთარი სიზმარი? დაღაცათუცა თქუა თუ — ჰე მესმა, არაჲვე იყო ჩემი ბრალი, არ-

ამედ მისი, უკუეთუ მიუწერა **გრიგოლ**ს, რამეთუ სიზმრისა ხილვად უნებელი საქმ არს და არავინ საბრალთებელ არს სიზმრისათვს; ნებსითთა საქმეთათვს საბრალთებელ იქმნების კაცი». **ჰან** **ტროილე** მთავარმან პრქუა: «მონაზონო, მოკიცხარი ხარა, ანუ არა უწყია, რომელსა ადგილსა მდგომარე ხარ?» **მიუგო** წმიდამან მან: «არაჲს ვეკიცხვ, არამედ უფროდსად ვიგლოვ ცხორებასა ჩემსა, რომელ აქამომდე დავიმარხე ხილვად ესევეთართა საქმეთა». **ტყუანე** პატრიკმან თქუა: «უკუეთუ სიტყვანი ესე ცრუ არიან და არა ჭეშმარიტ, მართლიად იქმს, რომელ ეკიცხვს». ზუალად საკელარმან პრქუა რისხვით წმიდასა **მაქსიმეს**: «აწ უკუე, მონაზონო, ყოველნი ტყუვიან და შენ ხოლო იტყვ ჭეშმარიტსა?» **მიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «ცელმწიფებად გაქუს შენდობითა ღმრთისადათა ჴორცთა ჩემთა გინა თუ მოკლვად, გინა თუ ცხორებად; თუნიერ ესე გრწმენინ, ვითარცა ეშმაკი არაოდეს იტყვს ჭეშმარიტსა, რამეთუ უცხო არს ჭეშმარიტებისაგან, ვერეთვე არცა ამათ კაცთა თქუეს სიტყუად ჭეშმარიტი; რამეთუ მე მოწამედ მაცხოვარსა და დამბადებელსა ყოველთასა ქრისტეს მოვიყვანებ, ვითარმედ არაოდეს მიხილავს ესევეთარი სიზმარი, არცა სხვსა ვისგან მასმიეს, გარნა ამას ოდენ ჟამსა კაცისა ამისგან». ზუალად მესამე ცილისმწამებელი წარმოადგინეს **თეოდორე** ვინმე ძმ კომისისად, რომელსა ეწოდებოდა **ქილა**, და თქუა, ვითარმედ: «**ჰრომ**ს ოდესმე ვეუბნებოდე და სიტყუად მოვილე მეფისათვს, და ეკიცხვდა და პბასრობდა». **ჰიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «ნუ იყოფინ, ძმაო, არაოდეს უბნებულ ვარ შენდა თუნიერ ერთგზის წინაშე ხუცისა **თეონარტეს**სა პრიმიკირიოზისათვს, უკუეთუ მეფე ჴსენებულ არს მუნ, მიუწერონ ხუცესსა მას და უკუეთუ წამოს, ვიპოვო მე ბრალეულ». **ჰან** საკელარმან პრქუა კაცთა მათ **ჰრომ**თა მთავრისათ: «არქუთ მთავარსა, სამართალი არსა ესევეთარისა კაცისა შენდობად საბრძანებელსა შენსა ყოფად?» და ბრძანა განყვანებად წმიდისა **მაქსიმესი**, და შეყვანებად მოწმისა მისისა.

14. **წა** პრქუა საკელარმან: «რადსათვს შეურაცხ-ყო და აგინა მოძღუარმან შენმან **პიროს**ს პატრიკსა?» ხოლო ნეტარმან **ანასტასიოს** მიუგო ჴმითა მდაბლითა: «არაჲნი ესრეთ პატრიკსა **პიროს**ს, ვითარ მოძღუარმან ჩემმან». **ხოლო** რომელ იგი მდაბლითა ჴმითა მიუგო, ვითარცა ჯერარს მონაზონისა, განრისხნა საკელარი და ბრძანა ყურიმლის-ცემად მისი; და მეყსეულად გუემეს ესოდენ, ვიდრედა დაეცა ქუეყანად და

ბრძანა წარყვანებად მათი საპყრობილედ. **ხოლო** მივიდოდეს რად, მიეწია **მინა** მონაზონი და ჰრქუა წმიდასა **მაქსიმეს**: «წინაშე მთავართა მოგიყვანა ღმერთმან, **მაქსიმე**, აქა, რადთა მიიღო მისაგებელი საქმეთა შენთად, ვითარ აცთუნებდი ერსა სწავლითა **ოროგინესითა**». **ჰიუგო** მონამან ღმრთისამან და ჰრქუა მას სასმენელად ყოველთა: «შეჩუენებულმცა არს **ოროგინე** და წვალებაჲ მისი და ყოველი ზიარი მისი». **სტეფანე** პატრიკმან თქუა: «დაიკვნა, **მინა** მონაზონო, შესმენად შენი, რამეთუ დაღათუმცა წვალებაჲ იგი **ოროგინისი** აქუნდა, ვინადთგან შეაჩუენა, განუთავისუფლებიეს თავი თუხი ესევითარისა მის ბრალობისაგან; მე რომელ უწყვი, მაგისტოჲს შესმენასა არღარა შევიწყნარებ». **თა** წარიყვანეს იგინი თითოეული საპყრობილესა, სადა იყვნეს პირველ.

15. **თა** ზვალისა დღე **ტროილე** პატრიკი და **სერგი** ტრაპეზისა სამეუფოჲსა მთავარი მივიდეს მონისა ღმრთისა **მაქსიმესა** და დასხდეს და უბრძანეს მასცა დაჯდომად, და ჰრქუეს მას: «მითხარ, მამაო, სიტყვსებაჲ იგი, რომელი იქმნა შორის შენსა და **პიროს** პატრიარქისა **აფრიკოს** და **პრომოს**, და რომლითა სიტყვთა დაარწმუნე მას შეჩუენებად თუხისა შჯულისა და მოქცეჲად შენსა შჯულსა». **ხოლო** წმიდამან **მაქსიმე** მიუთხრა რაოდენიცა აკსოვდა და ჰრქუა მათ: «მე ჩემი შჯული არა მაქუს, არამედ შჯული იგი კათოლიკე ეკლესიისაჲ, ქადაგებული წმიდათა მოციქულთაგან და ღმერთშემოსილთა მამათაგან, იგი მიპყრიეს და მას ექადაგებ, რამეთუ არარაჲ მითქუამს ახალი სარწმუნოებაჲ, რადთამცა ჩემდად ეწოდებოდა». **სდასრულეს** რად ესე თხრობად, ჰრქუეს მას მთავართა მათ: «აჲ არა ეზიარებია საყდარსა **კოსტანტინეპოლისასა**?» მიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «ნუ იყოფინ, არა ვეზიარები». **ჰთავართა** ჰრქუეს: «რომლისა მიზეზისათჳს არა ეზიარები?» მიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «ამისთჳს, რამეთუ კრებათა მათ წმიდათა **ნიკიისა** და **კოსტანტინეპოლისა** და **ეფესოჲსა** და **ქალკიდონისასა** წინა აღუდგეს და უარ ყვეს. **სლექსანდრიას** დაწერილითა მით ცხრითა თავითა და ქარტითა მით, რომელი აქა **სერგიისის** მიერ დაიწერა და რომელი ესე ახლად აღიწერა განწესებაჲ გარდასრულსა მას მვექუსესა ინდიკტიონსა, რამეთუ რად იგი თქუეს ცხრათა მათ თავთა შინა, მეორესა მას ქარტასა შინა დაჰკვნეს, და რად იგი ქარტასა შინა დაამტკიცეს, განწესებითა მით წინა აღუდგეს, და ერთმან-ერთი განკუეთნეს. **სწ** უკუე რომელნი იგი ერთი-ერთისაგან განკუეთილ არიან და კრებისა

მისგან, რომელი იქმნა **პრომოს** მერვესა ინდიკტიონსა, შეჩუენებულ არიან და მდდლობისაგან განკუეთილ, ვითარსა ჟამისწირვასა აღასრულებენ, ანუ რომლისა სულისა მადლი მოვალს მათსა შესაწირავსა ზედა?» **მთავართა** თქუეს: «რად არს, უკუე შენ ზოლო სცხონდები და ყოველნი წარყმდებიანა?» მიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «არავინ განიკითხეს სამთა მათ ყრმათა, ოდეს იგი ხატსა მას ოქროდსასა არა თავუანი სცეს, რომელსა ყოველნი იგი ერნი თავუანის სცემდეს, რამეთუ არა სხუათა მათ ერთა საქმესა ხედვიდეს, არამედ ამას ეკრძალებოდეს, რადთა იგინი არა მიდრკენ ჭეშმარიტებისაგან. **სწ** უკუე მეცა არავის განვიკითხავ, არცა ვიტყვ თუ მე ზოლო ვცხონდები, უფროდსად მრავალთა ბრალთა თანამდებად მაქუს თავი ჩემი, გარნა ამას ზედა მადლითა ღმრთისადთა ვიდრე სიკუდილადმდე აღვასრულებ, რადთა ვერ მამხილოს გონებამან ჩემმან თუ სარწმუნოებასა შინა ღმრთისასა ვსცეთი რომელითაცა სახითა». **ჰთავართა** მათ თქუეს: «რად უკუე ჰყო, უკუეთუ **პრომოსი** შეერთენ **კოსტანტინეპოლელთა**, რამეთუ გუშინ მოვიდეს მოციქულნი **პრომით**, და აჰა ესერა ზვალე კვრიაკესა ეზიარებიან პატრიარქისაგან; და საცნაურ იქმნების ყოველთა შორის, ვითარმედ შენ იყავ განდგომილებისა **პრომთაჲსა** მიზეზი, და ვინადთგან წარმოგიყვანეს შენ მიერ, შეერთნეს და დაემორჩილნეს იგინი ამას ეკლესიასა და ბრძანებასა მეფისასა». **ჰიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «არა მრწამს ესე, თუმცა **პრომოსი** აქა მყოფთა შეერთნეს, უკუეთუ არა აღიარონ ამათ უფალი და ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე ორითავე ბუნებითა — ღმრთეებისა და კაცებისა, რომელთაგან და რომელთა შინა და რომელ არს ორითა მით ბუნებითა მნებებელი და აღმასრულებელი ცხორებისა ჩუენისაჲ». **ჰთავართა** მათ თქუეს: «უკუეთუ შეერთნენ **პრომოსი** ამას ეკლესიასა, შენ რასა იქმ?» მიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «სულმან წმიდამან პირითა **პავლე** მოციქულისადთა ანგელოზთათჳსცა თქუა: «გინათუ ანგელოზი ზეცით მოვიდესო და გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელ გახარე, შეჩუენებულ იყავინ» (გალ. 1, 8); აჲ უკუე მე მართლისა სარწმუნოებისაგან არა მოვსდრკები, **პრომთა** და ბერძენთა ერთობასა ანუ განწვალებასა არას ვზრუნავ». **ჰერმე** სხუად მრავალი სიტყუად ითქუა შორის მათსა და შევიდეს ძიებასა სიტყუათა წერილისათა და სიტყუათა საფილასოფოსოთა და ყოველსავე უაღრეს ბუნებისა განუმარტებდა ღმერთშემოსილი იგი. **თა** ფრიად განმხიარულდეს მთავარნი იგი და იტყოდეს: «უწყის უფალმან, დიდად სარგებელ



გუეყო სიტყუაჲ შენი, მამაო, და ამიერიტგან მოუ-  
ილოდით და გაწყინებდეთ».

16. **სერგი** მთავარმან თქუა: «მრავალგზის მოს-  
რულ ვარ მე სენაკსა შენსა, ოდეს იგი სჯელ ვესას  
და მესმინ სწავლაჲ შენი და ნუ მწუხარე ხარ,  
დმერთმან უძგობესი ყოს. წმით ერთითა ჯერითა  
შეაწუხებ ყოველთა, რომელ მრავალნი ერნი შენ  
ძლით განეყენებთან ამის ეკლესიისაგან». **ჰიუ-  
გო** წმიდამან **მაქსიმე**: «და არს ვინ, რომელმან  
თქუას, თუ მე ვარქუ არა ზიარებად, ვინაფთგან  
აქა მოსრულ ვარ?» **სერგი** თქუა: «ესე-მებრ რო-  
მელ შენ არა ეზიარები, ამით ჯერითა ჯმამაღლად  
ეტყვ ყოველთა არა ზიარებად». **ჰიუგო** ნეტარმან  
**მაქსიმე**: «უფალო ჩემო, არარაჲ არს უძმლაერეს  
შინაგანისა გონებისა მხილებასა და არარაჲ არს  
ესრეთ განსასუენებელ, ვითარ ოდეს იგი გონებაჲ  
ეწამებოდის. წმისთჳს შეუძლებელ არს ჩემგან  
მხილებასა გონებისასა მთავრდომად». **პროილე**  
პატრიკმან თქუა: «სამართალი არსა ესე, რო-  
მელ განწესებაჲ იგი ღმრთის-მსახურისა მეფისა  
ჩუენისა მიერ დაწერილი შეიჩვენების ყოველსა  
დასავლეთისა ქუეყანასა, არა შეურაცხებაჲ არსა  
ესე მეფისაჲ?» **მიუგო** ნეტარმან **მაქსიმე**: «ღმერთ-  
მან შეუნდვენ, რომელთა აწვეს მეფესა დაწერად  
განწესებაჲ იგი და რომელ ეწამნეს და დაამტ-  
კიცეს». **პროილე** თქუა: «ვინ არიან, რომელთა  
აწვეს ანუ რომელნი ეწამნეს და დაამტკიცეს?»  
**მიუგო** მონამან ღმრთისამან: «ეპისკოპოზთა აწ-  
ვეს და მთავარნი ეწამნეს და დაამტკიცეს, და აჰა  
ესერა ბრალობაჲ ბრალეულთაგან უბრალოსა  
ზედა მივიდა». წმას ზედა მთავართა მათ თავე-  
ბი მოიდრიკეს და თქუეს: «ყოვლით-კერძო ძნელ  
არს და უღონო». **ჰერმე** მოიკითხეს ღმობიერად  
ნეტარი იგი და წარვიდეს მზიარულად.

17. **ხოლო** მომავალსა შაბათსა კუალად აღიყ-  
ვანნეს იგინი პალატად და განჰმზადეს სამშჯავ-  
როჲ. **ჰუნ** იყვნეს ორნი პატრიარქნიცა **კოსტან-  
ტინეპოლელი** და **ანტიოქელი** და შეიყვანეს  
პირველად მოწაფე წმიდისა **მაქსიმესი** და წარ-  
მოადგინეს **კოსტანტინე** ვინმე და **მინა** შემასმე-  
ნელნი ბერისანი; და აიძულებდეს **ანასტასიოსს**,  
მოწაფესა მისსა, რადთა თანაწამოს სიტყუათა მათ  
შესმენისათა, ხოლო მან კადნიერებით მიუგო მთა-  
ვართა მათ და ჳელმწიფეთა: «სამართალი არსა  
ამის **კოსტანტინესი** სამეუფოჲსა პალატისა სამშ-  
ჯავროსა წარმოდგინებაჲ? ეგე არცა ზუცესია,  
არცა მონაზონი, არამედ ერისკაცად მროკველად  
იცთან ეგე **ჰრომმან** და **აფრიკთმან**, და მუნ იქცე-  
ოდა, თანა ჰყვეს დედანი იგინიცა მროკველნი და

მანქანებანი მისნი, რომელნი აჩუენნა სივერაგისა  
თჳსისა დაფარვად, ყოველთა მიერ საცნაურ იქმნა,  
რამეთუ ოდესმე იტყვნ, დანი არიანო ჩემნი. ოდესმე  
იტყვნ, ამისთჳს გამოვიყვანენო სამეუფოჲთ, რა-  
თა არა ეზიარნენ ეკლესიასა **კოსტანტინეპოლისა-  
სა** წვალებისა მისთჳს და ამიერიტგანცა უკუე-  
თუ სადა დააკლდეს შუებაჲ და მთვრალობაჲ,  
კუალად წარვალს სხუასა ქუეყანასა, სადა არა  
იცნობდენ, და ეგევიტართავე საქმეთა იქმს ან-  
გაარებისათჳს და ბოროტისა გულის-თქუმისა და  
დიდი სირცხული არს წინაშე პატიოსანთა კაცთა  
წარმოდგინებაჲ მაგისი». ზუალად უკუე ჰკითხეს  
მთავართა: «შენ უკუე თქუ განწესებაჲ იგი აღწერ-  
ილი კეთილად-მძლისა მეფისა მიერ, ოდეს **ჰრომს**  
შეაჩუენეს, შენცა შეაჩუენეა?» **მიუგო** უშიშად და  
თქუა: «არა სიტყუთ ხოლო შევაჩუენე, არამედ ჳე-  
ლის-წერილიცა დაწერე შეჩუენებისაჲ». **სრქუეს**  
მას მთავართა: «და აწ არა აღიარება, ვითარმედ  
ცთომით ჰქმენ საქმე ეგე და ითხოვ შენდობასა?»  
**ანასტასიოს** თქუა: «ნუ ყოს ღმერთმან, რამეთუძ-  
ცა რომელი იგი კეთილად ვქმენ და წესსა ზედა  
ეკლესიისასა შევინანემცა და ვთქუ თუ — ცთო-  
მით ვქმენ». **ჰრავალი** უკუე სიტყუაჲ ჰკითხეს მას  
და ყოვლისა პასუხი კეთილად მისცა, ვითარცა  
ღმერთმან გულად მოუვლინა. **სანიყვანეს** იგი  
სამშჯავრომთ და შეიყვანეს ბერი.

18. **თა** ჰრქუა მას **ტროილე**: «იხილე ბერო,  
ყოველი ჳეშმარიტი თქუ და ყოს მეუფემან შენ  
თანა წყალობაჲ, უკუეთუ კულა წესისაებრ  
საბჭოჲსა განგიკითხოთ და იპოის შესმენათა  
ამათ შენთგან ერთიცა ჳეშმარიტი, თანამდებ  
ხარ სიკუდილისა». **ჰიუგო** წმიდამან **მაქსიმე** და  
ჰრქუა: «პირველცა ვთქუ და აწცა ვიტყვ: ვითარ-  
ცა ეშმაკი ჳეშმარიტსა არაოდეს იტყვს, ვერეთვე  
სიტყუათა ამათგან, რომელ მწამებენ, ჳეშმარიტი  
არცა ერთი არს. **წუ** უკუე, რადცა გნებაჲს, ქმენით.  
ჰე ვინაფთგან ღმერთსა აღვიარებ და ვჰმონებ,  
რადცა შემემთხვოს, არაჲ საგნებელ არს ჩემდა». **სრქუა** მას **ტროილე**: «განწესებაჲ მეფისა მიერ  
დაწერილი არა შენ შეაჩუენეა?» **მიუგო** ნეტარმან  
მან: «ჰე, ვითარცა მრავალგზის ვთქუ, შევაჩუენე». **პროილე** თქუა: «განწესებაჲ იგი თუ შეაჩუენე,  
მეფე შეგიჩუენებია». **ჰიუგო** მონამან ღმრთისა-  
მან: «მე მეფე არა შემიჩუენებდეს, არამედ ქარ-  
ტად შევაჩუენე უცხოჲ მართლისა სარწმუნოები-  
საჲ». **სრქუა** მას **ტროილე**: «სადა შეაჩუენეთ?»  
**მიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «**ჰრომს** ეკლესიასა  
მაცხოვრისასა და კუალად ტაძარსა წმიდისა  
ღმრთისმშობელისასა». **სრქუა** მას ეპარხოსმან:

«ეზიარებია ეკლესიასა **კოსტანტინეპოლისა**სა ანუ არა?» მიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «ნუ იყოფინ, არა ეზიარები». სპარხოსმან თქუა: «რადსათუც არა ეზიარები?» მიუგო ღირსმან მან: «რამეთუ წმიდანი კრებანი განყარნა». სრქუა მას ეპარხო-  
 5 მან: «უკუეთუ წმიდანი კრებანი განყარნა, ვითარ მოსა ცსენებელთა შინა წერილ არიან და ოდესცა პატრიარქი ჟამსა წირვიდეს, იცსენებიან კმამაღ-  
 ლად». ჰიუგო მონამან ღმრთისამან: «და რად სარგებელ არს სახელთა ცსენებად, ვინადთგან  
 10 სარწმუნოებად მათ მიერ დამტკიცებული განაგ-  
 დეს ამის ეკლესიისაგან». ჰაშინ კმა ყო ერთმან ხუცესთაგანმან: «მოგაგო ღმერთმან, რად იგი აჩუენე ნეტარსა **პიროსს**». წრარად გასცა მას პასუხი ნეტარმან მან. სრქუა საკელარმან წმი-  
 15 დასა **მაქსიმეს**: «რადსათუც გიყუარან **პრომნი** და **ბერძენნი** გპულან?» მიუგო მონამან ღმრთისამან: «მცნებად მოგვდიეს, რადთა არა ვინ მოვიტულოთ კაცთა შორის. წწ უკუე **პრომნი** მიყუარან, რა-  
 მეთუ ერთ ვართ სარწმუნოებითა და **ბერძენიცა** მიყუარან, რამეთუ ერთ ენანი ვართ». საკელარმან  
 20 თქუა: «როდენისა წლისა ხარ შენ?» მიუგო ნე-  
 ტარმან მან: «სამეოც და ათხუთმეტისა».

სე ყოველი და სხუად მრავალი თქუეს, ხოლო პატრიარქთაგანმან არცა ერთმან რად თქუა ყოვლადვე, ვინადთგან უკუე ყოვლით-კერძო შეა-  
 25 ჭირვეს და ვერ უძღეს მართლისა სარწმუნოები-  
 საგან შერყევად. სანზრახვად ყვეს ებისკოპოსთა პატრიარქისა თანა და არწმუნეს მეფესა, რადთა წარაგლინნეს ნეტარი **მაქსიმე** და მოწაფენი მისნი ექსორიობასა ფიცხელსა და უწყალოსა, განყოფილად ურთიერთას.

19. ოა გამოვიდა ბრძანებად, რადთა ექსორია ყონ ნეტარი **მაქსიმე ვიზო** ქალაქსა მაკედონი-  
 სასა **თრაქსა**, და მოწაფენი მისნი — ერთი **მეს-**  
 30 **იმბრია**ს, და ერთი **პერვერის**ს, რომელ იგი და-  
 სასრული არს **ბერძენთა** საზღვრისად, ადგილი ფიცხელი და უნაყოფო. სრეთ განყენეს ნეტარ-  
 ნი იგი მამანი ურთიერთას და ექსორია ყენეს, და იყოფოდეს შიშუელნი და შშიერნი; არარად  
 40 სადათ აქუნდა ნუგეშინისცემად, არამედ სასოე-  
 ბად ხოლო ღმრთისად.

წინ უკუე აღრაცხოს, საყუარელნო, უფესკრუ-  
 ლი იგი სიბრძნისა და გულისკმისყოფისად, რომელ მიჰმადლა ღმერთმან მონასა თვსსა **მაქსიმეს**,  
 45 რამეთუ იყოფოდა რად ექსორიობასა მას შინა, ესოდენნი აღწერნა სწავლანი და განგებანი, ვიდრელა ყოველსა სოფელსა განეფინეს სიტყუ-  
 ანი მისნი საღმრთონი და შუენიერნი, რამეთუ იყო

იგი, ვითარცა ზემო წერილ არს, ჭეშმარიტად **ახ-**  
**ალი ოქროპირი**. წინ არა განკერდეს სათნოსა მას და სულიერსა მოქალაქობასა მისსა, მარხვასა  
 5 მას ბუნებისა უადრესსა, მღვდარებასა ანგელოზ-  
 თა მსგავსსა, სიმშვედესა სრულსა, სიმდაბლესა გონებისასა, უმეტეს ყოველთასა სიწმიდესა გულისასა ბრწყინვალესა, ღმობიერებასა ყო-  
 ელთა მიმართ, ხოლო გონებისა მისისა ღმრთისა მიმართ ხედვად და გულისკმის-ყოფად და წურ-  
 10 თად გულისა არარადთ უდარეს იყო უცოროცო-  
 თა წესსა, რამეთუ ესოდენთა მათ შრომათა და ტანჯვათა შინა და ჭირთა ექსორიობისათა, და სიბერესა ფრიადსა, რამეთუ ოთხმეოც და ათი-  
 15 სა წლისად აღესრულა, და არაოდეს უდებ იქმ-  
 ნა, არცა დაჰკვნა მოღუაწებად, არცა გონებისა წურთად და ხედვად. ოა იყო მის ზედა უხუეებით  
 მაღლი სულისა წმიდისად; ამისთვსცა მდინარენი საღმრთოთა სწავლათანი აღმოეცენებოდეს პირ-  
 20 ით მისით და გამოთარგმნა ყოველივე ძუელისა და ახლისა წერილისად, რომელიცა იპოებოდა ღრ-  
 მაი და ძნად გულისკმის-საყოფელი სიტყუად, ყოველი განჰმარტა, რომელიმე მარტოად, რომე-  
 ლიმე სახის-მეტყუელებით; ჯერეთვე ღრმანი იგი სიტყუანი დიდისა **დიონისიოს არეოპაგელისანი**,  
 25 რომელმან იგი აღწერა ზეცისა მკედრობათათუც და ეკლესიისა წესათუც, შუენიერად განჰმარტ-  
 ნა, რამეთუ ფრიად იყო სიღრმშ და დაფარულე-  
 ბად ძალისა მათისად; ჯერეთვე სახედ წმიდისა **გრიგოლ** ღმრთის-მეტყუელისა თქუმულთა შინა,  
 30 რომელიცა იყო ძნად საცნობელი, თითოეუ-  
 ლად თარგმნა; და სხუანი წერილნი მრავალნი განგვმარტნა. ღოლო თავით თვსით კუალად დიდ-  
 ნი სწავლანი და სარგებელნი სულისანი აღწერნა, და წმიდისაცა ჟამის წირვისა და დიდებულთა მათ  
 35 საიდუმლოთა სახის-მეტყუელებად აღწერა; და კუალად მონაზონთა მიმართ ყოველთა ქრისტე-  
 ანეთა სწავლანი თავთავოანნი ყოველნივე საგსენი სიბრძნითა საღმრთოთა, ყოველნივე მაღლითა სულისა წმიდისადთა შემკობილნი. ზუალად უკუე  
 40 პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

20. წარიყვანეს რად ნეტარი **მაქსიმე** ექსო-  
 რიობად **ვიზო**ის შემდგომად მცირედთა დღეთა, მიაგლინნა მისა **პეტრე** პატრიარქმან ხუცესნი ეკლესიისანი ფრიად სწავლულნი, და მიიწინეს  
 45 რად საგანესა მას, მოიკითხეს იგი და დასხდეს, და ესრეთ იწყეს სიტყუად: «ღმრთივ-დიდებულ-  
 მან და ყოვლისა სოფლისა მამათმთავარმან **პეტრე** პატრიარქმან მოგუჟვლინნა შენდა მომართ, და ეს-  
 რეთ მოგიმცნებს, რომლისა ეკლესიისა ხარ: **ბი-**



**ზანტისა** ანუ **პრომისა** ანუ **ანტიოქისა** ანუ **ალექსანდრიისა** ანუ **იჭრუსალემისა**? რამეთუ აჰა ესერა ამათ ყოველთა ერთერთთ მათით ერთობად ქმნეს და ერთსა ზრახვასა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა შეითქუნეს, აწ უკუეთუ შენცა კათოლიკე ეკლესიისა შვილი ხარ, შემოგუერთო. რუ უკუე გეპყრას გზად უცხოთ ყოველთა ეკლესიათაგან და შეგემთხვოს რომელსა არა მოელი, და წარწყმიდნე შრომანი შენნი და სიბრძნე ეგე და სწავლულებად შენი არარას გერგოს, და გამოეთხოვო ორსავე ცხოვრებასა». **ჰიუგო ნეტარმან** მან პასუხი შემსგავსებული სიბრძნისა და ღმრთის-მსახურებისა მისისა: «კათოლიკე ეკლესიად მართლალსაარებასა სახელისა მისისასა უწოდა **მაცხოვარმან**, ოდეს იგი ნეტარებად მისცა ნეტარსა მოციქულსა **პეტრეს** და თქუა: «ამას კლდესა (ესე იგი არს, მართლალსაარებასა) ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი და ბჰენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას» (მთ. 16, 18). **სწ** უკუე მაუწყეთ, თუ რომელსა პირსა ანუ რომელსა სიტყუასა ზედა იქმნა ერთობად ეგე; და უკუეთუ კეთილად იქმნა, არცა მე უცხო ვიქმნე მართლისა წესისაგან». **ჰიუგეს** ზუცესთა მათ და **პრქუეს**: «დაღაცათუ არა გუაქუს ამის ჯერისათვს ბრძანებად, გარნა გაუწყოთ, რადთა მიზეზი არცა ერთილა გაქუნდეს. **სრუთ** ვიტყვოთ, ვითარმედ: ორნი იგი ნებანი და საქმენი ქრისტესნი ერთ იქმნეს, ამისთვს ერთსა ნებასა და საქმესა ქადაგებს ეკლესიად ჩუენი». **ჰიუგო წმიდამან მაქსიმე**: «ორნი იგი ერთ იქმნეს, ანუ სხუად ნებად და საქმე იქმნა?» **პრქუეს** მოვლინებულთა მათ: «ორნი იგი ერთ იქმნეს». **ჰიუგო წმიდამან მაქსიმე**: «რადლა საკმარ არს მრავალი სიტყუად, ესერა სიტყუამან თქუენმან გამოაჩინა, ვითარმედ არა-არსი სარწმუნოებად მოგიპოვებეს, რამეთუ სთქუთ, თუ ორნი ერთად შეიერთნეს; პირველად იტყვოთ ორსა და მერმე ერთსა, რადთა არცალა ორობად ჩნდეს, არცა ერთობად ნებათა და საქმეთად, და აჩუენებთ სრულიად უსაქმოდ, რომელსა ზედა ამას ქადაგებთ, რამეთუ მამანი ესრეთ იტყვან: ვინაიცა არა იყოს ბუნებითი საქმე უცვალელებელი და შეურყვეველი, მუნ არსებად ყოვლადვე არა არს, რამეთუ არა აქუს საქმე გამომაჩინებელი არსებისა. **ჟოლო** მე ამის სიტყვსა შეწყნარებად არა კელმწიფების, არამედ აღვიარებ ქრისტესსა ორითა ნებითა და ორითა საქმითა, რამეთუ არცა ერთი ორთა მათ ბუნებათა მისთაგან იყო უნებელ და უსაქმო, ესე ესრეთ მისწავიეს წმიდათა მამათაგან. **ქუენ** რად გნებავს, ქმენით ჩემ ზედა». **სრქუეს** მას

მოვლინებულთა მათ: «აწ უკუე ისმინე რად წინა გიც: უბრძანებენ მეფე და პატრიაქი მოციქულთა **პრომისათა**, რადთა დადგენ ყოვლითურთ ერთი და შეგაჩუენონ, უკუეთუ მაგას ურწმუნოებასა ზედა ეგო, და შემდგომად შეჩუენებისა გამოვალს განჩინებად მოკლვისა შენისა». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «რად იგი განგებულ არს ღმრთისა მიერ ჩემთვს საუკუნიტგანვე, აღესრულენ სადიდებელად სახელისა მისისა». **სმას** ზედა წარვიდეს ცუდად **ბოროტისა** მეტყველნი იგი.

**21. ჟოლო** შემდგომად სამისა წლისა ესმა მეფესა, ვითარმედ არა დასცხრების წმიდად **მაქსიმე** მართლისა მის სარწმუნოებისა ქადაგებად. **ჰიუგელინა** მისა ადგილსა მას ექსორობისასა **თეოდოსი** ებისკოპოსი **კესარია-ბითვნიისა** და **პავლე** და **თეოდოსი** იპატოსნი. **ჟოლო** მიიწინეს რად ნეტარისა **მაქსიმესსა**, მოიკითხეს და დასხდეს და აწვეს მასცა დაჯდომად. **სყო** მათ თანა ებისკოპოზიცა **ვიზოელი**. **სრქუა** მას **თეოდოსი** ებისკოპოსმან: «ვითა ხარ, მამაო?» **მიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «ვითარცა განაწესა ღმერთმან საუკუნიტგან ჩემთვს წინაღსწარმცნობელითა მით განგებითა მისითა, ეგრეცა ვარ». **ქეოდოსი** თქუა: «ვითარ არს სიტყუად ეგე, კაცად-კაცადისათვს საუკუნიტგან განუწყესებია ღმერთსა?» **მიუგო** წმიდამან **მაქსიმე**: «ნეტარი **პავლე** მოციქული იტყვს: «რომელნი იგი წინაღსწარ იცნნა, წინაღსწარცა განაჩინნა» (რომ. 8, 29); საცნაურ არს უკუე, ვითარმედ: ვითარცა იგი მეცნიერებად მისი წინაღსწარ არს, ეგრეთვე განჩინებად დასაბამითგან არს». **ქეოდოსი** თქუა: «სიტყვსამებრ მაგის ძალი რად არს, თუ «რომელნი წინაღსწარ იცნნა, წინაღსწარცა განაჩინნა» (რომ. 8, 29)?» **წმიდამან მაქსიმე** პრქუა: «წინაღსწარცნობად კელმწიფებასა შინა ჩუენსა მყოფთა საქმეთა და სიტყუათა და გულის-ზრახვათა არს, ჟოლო განჩინებად მოწვევნადთათვს ჩუენ ზედა ჩუენდა უნებელად ითქუმის». **ქეოდოსი** თქუა: «რომელნი საქმენი არიან ჩუენსა კელმწიფებასა და რომელნი არიან ჩუენდა უნებელად, და ვითარ რომელნიმე წინაღსწარმცნობელობასა ღმრთისასა მიაჩემენ და რომელნიმე წინაღსწარგანგებასა?» **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «კელმწიფებასა შინა ჩუენსა არიან ყოველინვე, რომელნიცა ნებითა ჩუენითა იქმნებიან, გინა თუ კეთილნი საქმენი გინა თუ ბოროტნი, ჟოლო უნებელად ჩუენდა არიან ყოველნი მოწვევნადნი ჩუენ ზედა ჭირნი და განსაცდელნი, ანუ მათნი წინააღმდეგომნი, რამეთუ არცა სნებად ჩუენსა კელმწიფებასა არს, არცა სიმრთელს, დაღა-

ცათუ მიზეზნი სნებისა და სიმრთელისანი მრავალთ-გზის ჩუენგან იმქნებიან; უწესოებად და უკრძალველობად ჭამადთა მიზეზი არს სენთად, და კრძალვით და წესიერად ჭუმევად მომატყუებელ არს სიმრთელისად; არამედ მოწვევანი იგი სენთან გარეშე ნებისა ჩუენისა არიან და სიმრთელე არაჲ ჩუენსა კელმწიფებასა არს, და სხუანიცა სოფლისა საქმენი, სიმდიდრე ანუ სიგლახაკჲ, დიდებად ანუ შეურაცხებად და სხვანი მსგავსნი ამათნი. **ჟოლო** ვითარცა იგი ვთქუ, ვითარმედ სიმრთელე და სნეულებად არა ჩუენსა ნებასა და კელმწიფებასა ზედა არს, გარნა მიზეზნი მათნი ჩუენ ზედა არიან, ვერუთჲ სახედ არს სულიერიცა, რამეთუ სასუფეველისა ცათადსა მიზეზი არს დამარხვად მცნებათა ქრისტესთად და ჯოჯოხეთისა მომატყუებელ არს გარდასლვად მცნებათა მისთად». **ჟეფდოსი** თქუა: «აჲ უკუე ამისთჲს იტანჯება შენა მას ექსორობასა, რომელ გიძღვს რადმე ღირსი ამის ჭირისად?» წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ვევედრები ღმერთსა, რადთა ესე ჭირი იყოს მოსაგებელად ყოველთა ცოდვათა ჩემთა და არღარა მას საუკუნესა მომაგოს». **ჟეფდოსი** თქუა: «არა მოვლენანა მრავალთა ზედა ჭირნი და მწუხარებანი გამოსაცდელად სიმკნისა და სათნოებისა მათისა?» წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «გამოსაცდელად მოსლვად ჭირთა და ურავთად წმიდათად არს და მართალთად, რადთა გამოჩნდეს განსაცდელთა მიერ კეთილი და ახოვანი გონებად მათი სოფელსა შინა და ცნან კაცთა დაფარული იგი სათნოებად მათი, ვითარცა იქმნა **იობის** და **იოსების** ზედა, რადთა განსაცდელთა მათ მიერ საცნაურ იქმნას: ერთისა მის სიმკნე და მოთმინებად და მეორისად მის სიწმიდჲ და ღმრთის-მოშიშებად; ვერუთჲ ყოველთა წმიდათა, რომელნიცა ჭირნი შეეშთხნეს ამას საწუთროსა, ამით ესევითარიოთ განგებულებითა შეეშთხნეს, რადთა ჭირითა მით და უძლურებითა კორცთადთა დათრგუნონ ამპარტაჲნი იგი და განდგომილი ვეშაპი, რომელ არს ეშაპი. **სე** უკუე სახჲ, ვითარცა ვთქუ, წმიდათად არს, ზოლო ცოდვილთა და ბრალეულთა კაცთა ზედა მოვლენ განსაცდელნი ოდესმე შესანდობელად ცოდვათა, უკუეთუ მადლობით შეიწყნარონ და ოდესმე დამაყენებელად ცოდვათ; და კუალად განწირულთა ზედა და წინააღმდეგომთა ღმრთისათა მოიწვეიან განსაცდელნი, რადთა იხილონ სხუათა და განეკრძალნენ. **ჰრავალსაჲ** არს უკუე და მრავალგუარი მოწვენად განსაცდელთად». **ჟეფდოსი** თქუა: «მეწამების ჭეშმარიტებად ღმრთისად, ყოველიჲ კე-

თილად სთქუ და დიდად სარგებელ მეყო სიტყუად შენი, და მინდა, რადთამცა ესევითართა პირთათჲს მეოვარჲმ დაგიუბნე, არამედ ვინადთგან სხვსა სახისათჲს მოსრულ ვართ შენდა, მე და უფალნი 5 ესე ჩემნი მთავარნი და ესოდენსა ამას სიმორესა გზისასა დამაშურალ ვართ, გვედრებით შეიწყნარე სიტყუად ჩუენი და მზიარულ გუევენ ჩუენცა და ყოველი სოფელი». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «რად არს სიტყუად ვე, ანუ ვინ ვარ მე, რომელ 10 თუ შევიწყნარო სიტყუად თქუენი, ჩემ ძლით მზიარულ იქმნების ყოველი სოფელი?» **ჟეფდოსი** თქუა: «უწყის ჭეშმარიტებამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესამან, რომელსა გეტყვთ მე და უფალნი ესე ჩემნი პირისაგან დიდებულისა პატრიარქისა და ღმრთის-მსახურისა მეფისა გუას- 15 მინეს». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ბრძანეთ, უფალნი ჩემო, თქუთ რად იგი მათგან გასმიეს». **ჟეფდოსი** თქუა: «გვედრების მეფე და პატრიარქი, რადთა გუაუწყო თუ რომლისა მიზეზისათჲს არა ეზიარები საყდარსა **კოსტანტინეპოლისასა**». წმი- 20 დამან **მაქსიმე** თქუა: «გაქუსა ამის ჯერისათჲს ბრძანებად მეფისად ანუ პატრიარქისად?» **ჟეფდოსი** თქუა: «არა ჯერ-არს, მამაო, ურწმუნოებად ჩუენი, რამეთუ დაღაცათუ უღირს ვარ, გარნა ებისკოპოს მქოვდების და უფალნი ესე ჩემნი დიდებულნი არიან და საკუთარნი მეფისანი; და სიცრუვით 25 გამოცდად შენდა არა მოსრულ ვართ, ნუ იყოფინ». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «რომელითაცა სახითა მოსრულ ხართ, მე განცხადებულად გაუწყო, თუ რომლისა მიზეზისათჲს არა გეზიარები თქუენ, 30 გარნა მიკვრს თუ რადსათჲს მკითხავთ. სხუამანცა ვინმე მკითხა მიზეზი ამის ჯერისად, ზოლო თქუენ ყოველსავე მეცნიერ ხართ რასა მკითხავთ; უწყით რაოდენნი ახალნი და უცხონი წესნი შემოვიდეს 35 მართლალსაარებასა ზედა სარწმუნოებისა ჩუენისასა გარდასრულთა ამათ წელთა. წყო **ალექსანდრიით**: ცხრათა მათ თავთა მიერ, რომელ დაწერნა **კეროზ**, რომელ იგი მიშუებითა ღმრთისადთა იქმნა წინამძღუარ მის ქალაქისა; და უჯერონი 40 იგი ცხრანი თავნი შეიწყნარნა საყდარმან **კოსტანტინეპოლისამან** და დაამტკიცნა. **სა** სხვანი მრავალნი შეცვალებანი წმიდათა მამათა მიერ დამტკიცებულთა წესთანი ქმნეს წინამძღუართა მათ **კოსტანტინეპოლელთა სერგიოს** და **პიროს** 45 და **პავლე**; და ესევითარნი იგი უწყსონი შეცვალებანი სარწმუნოებისანი ყოველმან სოფელმან უწყის; ამის მიზეზისთჲს არა ეზიარები ეკლესიასა **კოსტანტინეპოლისასა**. **სწ** უკუე დამაბრკოლებლნი იგი მიზეზნი განყარნენ მათ თანა, რომელ-



თა მოიპოვნეს, და ყოველი ეკალი და კუროდს-თა-  
ვიდაყოველი ღუარძლი წვალეებისა და ღმრთობისა  
და მართალსა მას და წრფელსა გზასა სახარებისა  
სასა ვიდოდინ, და მეცა უეჭუელად შეუდგე მათ;  
ვიდრემდის კულა ბოროტთა მათ ღუარძლთა  
დათესულთა ეკლესიასა შინა და მთესვართა მათ-  
თა შეიტკობენ, არა რადთა სახითა ეგების ჩემი  
მათ თანა ზიარებად». **ჟეფდოსი** თქუა: «და რასა  
წვალეებასა ვიტყვო, რომელ არა არს ღონე, რა-  
დთამცა გუეზიარე?» ჩმიდამან **მაქსიმე** თქუა:  
«ერთსა ნებასა და საქმესა იტყვო ღმრთეებისა და  
კაცებისასა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა  
იესო ქრისტესსა; და შეპრეეთ ღმრთის-მეტყუ-  
ელებისა და განკაცებისა სიტყუასა, რამეთუ წმი-  
დანი მამანი ჯერეთ იტყვან: რომელთა მცა საქმე  
ერთი არს, ბუნება მცა ერთი არს. საცნაურ არს  
მისგან, ვინა მთგან ერთსა ნებასა და საქმესა  
იტყვო, ერთსა ბუნებასა იტყვო შერეულსა და  
ოთხოებასა იქმთ წმიდისა სამებისასა». **ჟეფდოსი**  
თქუა: «შეერთებისათჳს ორთავე მათ ერთად,  
განგებით ჟამსა შინა ქმნულსა საქმესა, ნუ შჯუ-  
ლად დაამტკიცებ». ჩმიდამან **მაქსიმე** თქუა:  
«უკუეთუ არა მტკიცედ შჯულად გაქუს დაწერი-  
ლი იგი განწესებად, რომელსა შიდა ერთი ნებად  
და ერთი საქმე განაწესეთ; უკუეთუ არა მტკიცედ  
გაქუს, რომლისა მიზეზისათჳს მიმეცით მე კელ-  
თა წარმართთასა? რომლისა მიზეზისათჳს და-  
ვისაჯე მე ვიზოის მკდრობად, და ძმანი ჩემნი —  
ერთი პერფერს და მეორე მესიმბრიას? რადსათჳს  
განვიყვებით ურთიერთას ვითარცა ძვრის-მოქმედ-  
ნი, ანუ მძლავრნი ვინმე?» **ჟეფდოსი** თქუა: «უფა-  
ლმან უწყის, ოდეს დაიწერა განწესებად იგი, მა-  
შინვე ვთქუ და აწცა ვიტყვ, ვითარმედ უჯეროდ  
იქმნა და სავენებლად მრავალთა. ღოლო მიზეზი  
დაწერისა მისისა იქმნა სიტყვს-გებად მორწმუნ-  
ეთად ურთიერთას, ნებათათჳს და საქმეთა; და ამ-  
ისათჳს, რადთა დასცხრეს სიტყვს-გებად და ცილ-  
ობად მათი, აღწერეს განწესებად იგი, რადთა  
ურთიერთას მშჯლობად აქუნდეს და არღარა ით-  
ქუმოდინ ეგვითარნი სიტყუანი». ჩმიდამან **მაქ-  
სიმე** თქუა: «და რომელმან მორწმუნემან კაცმან  
თავს-იდვას ესევითარი განგებულებად, რომელი  
დაადუმებს სიტყუათა კმამაღლად ქადაგებულთა  
მოციქულთა მიერ და წინაწარმეტყუელთა, და  
მოძღუართა ბრძანებითა და განგებითა ღმრთისა  
და მეუფისა ყოველთადას. ოა აწ გულისკმა-ვყოთ,  
მღდელთ-მოძღუარო, თუ რაბამსა ბოროტსა მიი-  
წვეის საქმე ესე, რამეთუ უკუეთუ «ღმერთმან  
განაწესა ეკლესიათა შინა, პირველად მოციქულ-

ნი, მეორედ წინაწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუ-  
არნი» (1 კორ. 12, 28) დაამტკიცებულად მორწ-  
მუნეთა, და პრქუა წმიდასა სახარებასა შინა  
მოწაფეთა და მათ მიერ ყოველსა სოფელსა, რო-  
მელსა ესე თქუენ გეტყვ, ყოველთა ვეტყვ: «რო-  
მელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარებს, და  
რომელმან თქუენ შეურაცხ-გევენეს, მე შეურა-  
ცხ-მოვფხ» (მო. 10, 40; ლკ. 10, 16; ინ. 13, 10). ომის  
სიტყვსაგან საცნაურ არს, ვითარმედ რომელი არა  
შეიწყნარებდეს მოციქულთა და წინაწარმეტყუ-  
ელთა და მოძღუართა, არამედ შეურაცხ-ჰყოფდეს  
მათ მიერ განწესებულთა და დამტკიცებულთა სი-  
ტყუათა, თავდასა ქრისტეს შეურაცხ-ჰყოფს.

ოა კუალად ესე გულისკმა-ვყოთ: ღმერთმან  
აღადგინნა რჩეულნი თჳსნი მოციქულნი, წი-  
ნაწარმეტყუელნი და მოძღუარნი დაამტკიცე-  
ბულად და მასწავლელად მორწმუნეთა; ზოლო  
ემმაკან აღადგინნა ცრუ წინაწარმეტყუელნი და  
ცრუ მოციქულნი და ცრუ მოძღუარნი წინააღმ-  
დგომად ღმრთის-მსახურებისა, და ბრძოლად  
ძუელისა და ახლისა შჯულისა. ცრუ მოციქულ-  
ად უკუე და წინაწარმეტყველად და ცრუმოდუ-  
რად გულისკმა-ვჰყოფ მწვალებულთა, რომელთა  
ზრახვანი ღრკუ არიან. ოწ უკუე ვითარცა იგი,  
რომელმან ჰუმარიტნი მოციქულნი და წინა-  
წარმეტყუელნი და მოძღუარნი შეიწყნარნეს, ღმ-  
ერთსა შეიწყნარებს; ჯერეთვე, რომელმან ცრუ  
მოციქულნი და ცრუ წინაწარმეტყუელნი და ცრუ  
მოძღუარნი შეიწყნარნეს, ემმაკა შეიწყნარებს;  
და რომელმან განდვენეს წმიდანი უშჯულოთა და  
არაწმიდათა თანა, ისმინეთ ჰუმარიტი და შემინ-  
დვეით, ეგვითარი იგი ქრისტეს სდვენის.

ოწ უკუეთუ გამოვიძინეთ შეცვალებანი ესე  
მართლ-აღსაარებისანი, რომელ იქმნეს ამათ  
წელთა, ეპოვოთ, ვითარმედ ზემოწერილსა მას  
ბოროტსა მიიწვეიან. ოხილეთ, ნუ უკუე მიზეზითა  
მშჯლობისა მათა შფოთისა და განდგომილებისა ქა-  
დაგებად იპოვნეთ, რომელი იგი განდგომილება  
წინამორბედად ანტისა ყოფად თქუა მოციქულ-  
მან. ოსერა ყოველი ჰუმარიტი გაუწყე უფალნო  
ჩემნო; აწ უკუეთუ შესაძლებელ არს, რომელ ესე  
ყოველი მაქუნდეს დაწერილი ფიცართა გულისა  
ჩემისათა და შვიდე ეკლესიასა, რომელსა შიდა  
ესე წესნი იქადაგებიან, და ვიქმნა ზიარ მდევართა  
და შეურაცხმოფხელთა ღმრთისათა, ნუ ყოს ესე  
ჩემ ზედა უფალმან, რომელი იგი ჩემთჳს მსგავს  
ჩემდა იქმნა თჳნიერ ცოდვისა. ჰამეთუ კეთილთა  
საქმეთა სრულებასა არა ეძიებს ყოველთაგან  
ღმერთი, არამედ ნაკლულევენებასა სათნოებათა-

სა შეგნდობს წყალობით, უკუეთუ ოდენ სრულად არა ცარიელ ვიყვნეთ კეთილთა საქმეთაგან, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: «სახლსა მამისა ჩემისასა მრავალ საგანე არიან» (ინ. 14, 2), და მოციქული იტყვს: «ვითარცა ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს ღიდებითა, ჯერეთ იყოს აღდგომად მკუდართად» (1 კორ. 15, 41-42). **სე** სიტყუანი თითო-სახეთა მოქალაქობათათვს თქმულ არიან, რამეთუ რომელნიმე უმეტეს მოღუაწე არიან და რომელნიმე უდარძს, ხოლო სარწმუნოებისაჲ ესე წესი არა არს, არამედ ყოველსა ქუეყანასა მართლალსარებაჲ სრული თანააც, რადთა ყოველივე ნაკლულევანებაჲ არა იყოს; უკუეთუ კინოღენი შეემთხვოს ნაკლულევანებაჲ და განდრეკილებაჲ სარწმუნოებისაჲ, ყოველივე წარუწყმედიეს ესევეთარსა მას და დაუქცევდეს სული თვსი. **სე** ჩემგან შეუძლებელ არს. **ჰადცა** გნებავს ქმენით ჩემ ზედა; მე შემეწინარებელთა წვალებისათა არა ვეზიარები». **სმა** რად ესე ყოველი ებისკოპოსსა მას და მთავართა, განკვრდეს და მოიდრიკეს თავები ქუე და დადუმნეს მყოფარჟამ. **ჰერმე** მოუგო **თეოდოსი** ებისკოპოსმან და **ჰრქუა** ნეტარსა მას: «ჩუენ სამნივე თავსმდებ ვართ ამას ზედა, უკუეთუ შენ ეზიარო, აღიღოს მეფემან განწესებაჲ იგი ეკლესიისაგან». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «რად იგი კრებითა მრავლითა ებისკოპოსთაჲთა დაამტკიცეს და დაწერეს, **სერგიოს**, **პიროს** და **პავლე** ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა დამტკიცებაჲ, ვითარ განიკურნოს?» **ჴედოსი** თქუა: «იგი ქართად ჩამოივსნა და დადუმნა». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «კედლისაგან ჩამოივსნა, გარნა გულთა შინა ყოველთასა არს, და მწერალნი მისნი და გამომეტყუელნი იკსენებიან ეკლესიასა შინა. **წწ** უკუე რადცა **პრომისა** კრებამან წესიერად და შეჯულიერად დაამტკიცა, აღასრულონ **კოსტანტინეპოლისა** ეკლესიასა და შუაკედელი დაქსნილ არს და ყოველნი შეუორგულელებელად ვეზიარნეთ». **ჴედოსი** ებისკოპოსმან თქუა: «ღმერთმან უწყის, ვერარას ვჰპოვებ საბრალოებელსა შენსა, არამედ მოგუეც განზრახვაჲ, გვედრებით, უკუეთუ შესაძლებელ არს ესე ყოფად». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «რად განზრახვაჲ მოგცე, უკუეთუ ენებოს მეფესა და პატრიარქსა მიმსგავსებად სიმდაბლესა ქრისტესსა და მიუწერონ წიგნები ღმობიერი **პრომისა** პაპსა და ყონ ერთობად და დაემტკიცოს მართალი სარწმუნოებაჲ ურთიერთას წამებითა, და მერმე მეცა თქუენ თანა ვარ». **ჴედოსი** თქუა: «დასტურად ვეე ვერეთ იქმნას, გარნა ყავ ჩემ თანა აღთქმად, რადთა უკუეთუ მე წარმაგლენდენ, შენ-

ცა მოხვდე». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «უმჯობეს არს, რადთა წარიყვანო ძმაჲ იგი ჩემი, რომელ არს **მესიმბრიას**, რამეთუ მან ენადცა **პრომული** კეთილად იცის და ყოველთა მათ ღიდი აქუს მისა მიმართ სიყუარული, რამეთუ მრავალი შრომად თავს-უც მართლისა სარწმუნოებისათვს». **ჴედოსი** თქუა: «მრავალგზის სიტყვს-გებაჲ ქმნულ არს შორის ჩუენსა და არა სათნო მიჩნს მის თანა წარსლვად». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «უკუეთუ სათნო იჩინონ მეფემან და პატრიარქმან კეთილისა ამის საქმისა ქმნად და ესრეთ ჯერ იჩინონ, რადცა მეცა წარმოგყვე, ჴუმდარიტებისათვს და საღმრთოჲსა საქმისათვს არა უდებ ვიქმნა მოსლვად». **წმათ** სიტყუათა ზედა აღდგეს სიხარულით და **ღმობიერად** და ყვეს ლოცვაჲ მუკლთ-მოდრეკით, და **კაცად-კაცად** მან ამბორ-უეო წმიდა სახარებასა და პატიოსანსა ჯუარსა და ხატსა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა და წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისასა, და **თედოსი** ებისკოპოსმან და ორთა მათ იპატოსთა გელნი დაასხნეს წმიდასა სახარებასა და წმიდათა ხატთა დასამტკიცებელად სიტყუათა მათ; და კუალად დასხდეს და წარმოიღეს სიტყუაჲ სათნოებათათვს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, და მრავალი სწავლად სულიერი წარმოუთხრა ნეტარმან **მაქსიმე** აღსრულებისათვს მცნებათა ღმრთისათა, და აღივსნეს სიხარულითა შუენიერისა მის სწავლისათვს.

**22.** **ხოლო** ოდეს იგი მოიკითხეს წმიდაჲ **მაქსიმე** და წარვიდოდეს, **თედოსი** იპატოსმან თქუა: «აჰა ესერა ჩუენ ყოველივე კეთილად განვიზრახეთ, არამედ ამას ოდენ იჭუეულ ვარ, უკუეთუ თავს-იდვამცა მეფემან სავედრებელისა წიგნისა მიწერად პაპამსა და თავსა თვსსა ბრალეულ ყოფად». **წმიდამან მაქსიმე** თქუა: «უკუეთუ შეიმოსოს სიმდაბლჲ ქრისტესი და ინებოს ცხორებაჲ სულისა თვსისაჲ და ყოვლისა ერისა თვსისაჲ, რადსათვს არა ქმნას საქმჲ საღმრთოჲ? უფროდსლა მოივსენოს, ვითარმედ უკუეთუ ბუნებით მაცხოვარმან და ყოვლისავე შემძლებელმან ღმერთმან, ინება რად ცხორებაჲ კაცთაჲ, თავი თვსი დაიმდაბლა და ესრეთ გუაცხოვნნა. **წითარ** ვგების, თუმცა კაცმან, რომელსა ვერ გელწიფების თავით თვსით ცხორებაჲ, არამედ ღმრთისაგან ეძიებს, შეუძლომცა ანუ თავისა თვსისა ანუ სხუათა სულთა ცხოვნებად, უკუეთუ არა დაიმდაბლოს თავი თვსი მსგავსად მაცხოვრისა მის და მეუფისა ყოველთაჲს?» **ჴედოსი** იპატოსმან თქუა: «ვესავ ღმერთსა, უკუეთუ მშვდობით მიმაწიოს მეფესა, ესე-მებრ



სიტყუად, რომელ აწ სიტყუ, ვპრქუა და დაირწმუნოს ქმნად კეთილისა». სრეთ მოიკითხეს ურთიერთს და წარვიდეს. ღოლო ებისკოპოსმან მისცა წმიდასა **მაქსიმეს** საფასე ნიჭებული მეფისაგან და ჩოკად და საკმარნი. ოა მიიწინეს რად სამეუფოდ ქალაქად და აუწყეს მეფესა და პატრიარქსა ყოველივე, რადცა ეთქუა ნეტარსა **მაქსიმეს**.

23. ომისსა შემდგომად თუესა სეკდენბერსა რვასა მიიწია **ვიზოის პავლე** იპატოსი და აქუნდა ბრძანებად მეფისად, რომელსა შინა ესრეთ წერილ იყო: «გებრძანებს მეფობად ჩემი **პავლე** იპატოსო, რადთა მიხედვ **ვიზოის** და მოიყვანო **მაქსიმე** მონაზონი დიდითა პატივითა და ფუფუნებითა სიბერისა და უძღურებისა მისისათვს, და რომელ იგი მამულად საკუთარი არს მეფობისა ჩუენისად; და დაუტევე მონასტერსა წმიდისა **თეოდორესსა**, რომელი არს ქალაქსა **რიგსა**; და მოვედ და მაუწყე, რადთა მიფავლინენ მისა ორნი პატრიკნი საკუთარნი და საყუარელნი ჩემნი და მათ აუწყონ ყოველი ნებად და განზრახვად მეფობისა ჩემისად». მოიყვანა იპატოსმან მან ნეტარი იგი მონასტერსა მას და შევიდა ქალაქად და აუწყა მეფესა. ოა ხვალისა დღე გამოვიდეს **ეტვზანე** და **ტროილე** პატრიკნი ერითა მრავლითა და კაზმულეებითა დიდითა და მათ თანა **თეოდოსი** ებისკოპოსი და აღვიდეს პატრონიკთა მის ეკლესიისათა, სადა იგი იყო წმიდად **მაქსიმე**, და წესისაებრ მოიკითხეს, და დასხდეს და აწკეს ნეტარსა მასცა დაჯდომად, და იწყეს სიტყუად. **ტროილე** პატრიკმან თქუა: «მეფემან ყოვლისა სოფლისამან გებრძანა მოსლვად შენდა და თხრობად ბრძანებასა მპყრობელობისა მისისასა, გარნა პირველად გვთხარ, უკუეთუ იქმ ბრძანებასა მეფისასა ანუ არა». წმიდამან **მაქსიმე** პრქუა: «უფალო ჩემო, მაუწყე თუ რად უბრძანებდეს მეფობასა მისსა და ჯერისაებრ პასუხი მოგცე; ხოლო რომელსა უმეცარ ვარ, ვითარი რად სიტყუად მიგიგო?» **ტროილე** თქუა: «არა ვგების, არცა რას ვიტყვო, უკუეთუ პირველად არა სიტყუა, უკუეთუ იქმ ბრძანებასა მეფისასა ანუ არა». წმიდად **მაქსიმე** იტყოდა: «უკუეთუ არა მესმეს ბრძანებად იგი, ვერარას ვიტყვო». ღოლო იხილნა რად იგინი დამტკიცებულნი სიტყუასა მას ზედა, დაიწყეს მრისხანებით სიტყუად სხუათა მათ თანა, რომელნი მოყოლილ იყვნეს მათდა პატივებითა სამეუფოთა აღზუაგებულნი. ჰოუგო წმიდამან **მაქსიმე** და პრქუა: «ვინადთგან არა ჯერ-იჩინეთ უწყებად ჩემდა, თუ რად არს ბრძანებად მეფისად, უცნაურისა სიტყვსა პასუხსა მომვდით. ოპა ესერა ვი-

ტყვ წინაშე ღმრთისა და წმიდათა ანგელოზთა, უკუეთუ ბრძანებად იგი მეფისად სულისა ჩემისა სავნებელი არა იყოს, არამედ საქმეთაგან იყოს საწუთროსა ამას თანა განქარვებადთა, აღვასრულო ბრძანებად მეფობისა მისისად». სე რად ესმა **ტროილეს**, მეცსეულად აღდგა და თქუა: «ლოცვა ყავთ, მე წარვალ, რამეთუ უწყი, ესე არა იქმს». ოა იქმნა ამბოხებად და შფოთი დიდი. **ტეოდოსი** ებისკოპოსმან თქუა: «მიუთხარო ბრძანებად მეფისად და ისმინეთ პასუხი მისი, რამეთუ ესე რომელ იქმთ, არცა თქუენ რას იტყვო, არცა მისსა ისმენთ პასუხსა, უჯერო მიჩნს». ოაშინ **ეტვზანე** პატრიკმან პრქუა: «ამას გებრძანებს მეფე ჩუენ მიერ, ვინადთგან ყოველი აღმოსავალი და ყოველი დასავალი შენ ძლით იღელვებიან და განუდგებიან, რომელ ესე შენ არა გუეზიარე სარწმუნოებასა ჩუენსა. ოწ დაგაჯეროს ღმერთმან, გუეზიარე და გუეწამე ჩუენ მიერ აღწერილსა ამას განწესებასა ზედა; და შემოვედ სამეუფოდ ქალაქად და გამოვიდეს მეფობად ჩუენი თავით თვსით და მოგეგეოს **ხალკინსა**, და ამბორს გიყოთ და ჰელი გიპყრათ და დიდითა პატივითა და დიდებითა შეგიყვანოთ დიდსა მას ეკლესიასა წმიდასა **სოფიას**; და დაგადგინოთ ჩუენ თანა ადგილსა მას, სადა მეფენი დადგებიან, და აღასრულოს პატრიკმან წმიდად ჟამის-წირვად და ზოგად ვეზიარნეთ წმიდათა საიდუმლოთა, ცხოველს-მყოფელსა მას ჴორცსა და სისხლსა ქრისტესისა, და გქადაგოთ შენ მამად ჩუენდა და იქმნას სიხარული დიდი, არა ხოლო თუ დიდსა ამას ქალაქსა, არამედ ყოველსავე სოფელსა. ოამეთუ ესე უწყით უეჭუელად, უკუეთუ შენ ეზიარო წმიდასა ამას საყდარსა, ყოველნი შემოგუერთებიან, რომელნი იგი შენ ძლით და სწავლითა შენითა განწვალებულ და განდგომილ არიან ჩუენგან». ოაშინ მიჰხედა ებისკოპოსსა მას წმიდამან **მაქსიმე** და პრქუა ცრემლით: «მღდელთ-მოძღუარო, ყოველნი დღესა მას სასჯელისასა მოველით, რად განვაწესეთ, ოდეს მოხუედით **ვიზოის** ანუ რომლისა ჯერისათვს დასხენით ჴელნი წმიდასა სახარებასა და ცხოველს-მყოფელსა ჴუარსა და პატიოსანსა ხატსა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა, და ყოვლად-უხრწნელისა დედისა მისისა წმიდისა ღმრთისმშობლისა?» ხოლო ებისკოპოსმან მოიდრიკა თავი ქუე და ნელად თქუა: «რად ვყო მე, ვინადთგან მეფემან არა ინება საქმწ იგი». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ოდეს იგი არა თქუენსა ჴელმწიფებასა იყო აღსრულებად სიტყუათად მათ, რადსათვს შეეხებოდეთ წმიდასა სახარებასა

შენ და შენთანნი იგი?» მერმე პრქუა პატრიკთა მათ: «უფალნო ჩემნო, ეგე რომელ სთქუთ, უკუეთუ ყოველნი ძალნი ცათანი შემოკრბენ და მეტყოდიან ქმნად, არა უსმენ, არცა ვიქმ; რამეთუ რად სიტყუად მივსცე ღმერთსა, ანუ სამშჯავროსა მას გონებისა ჩემისასა, უკუეთუ ცუდისა ამის და ამოფსა და მყის-განქარვებადისათჳს კაცობრივისა დიდებისა სულთა განმაცხოვრებელი იგი მართალი სარწმუნოებად უვარ-ვყო? ესე ჩემგან შეუძლებელ არს». ომას სიტყუასა ზედა აღივსნეს მთავარნი იგი გულის-წყრომითა, ზე აღდგეს და გუემეს ნეტარი იგი ყურიძლის-ცემითა და მჯიღებითა და ქუსლებითა, ვიდრე სრულიად მოაუძღურეს. ოავითგან ფერკთამდის და ნერწყვთა დააღტვეს სამოსელი მისი, და ვიდრემდის არა განირცხა სამოსელი მისი, სულ-მყარალობად იგი არა განქარდა. ოლო **თვედოსი** ებისკოპოსმან თქუა: «არა ჯერ-იყო ამის საქმისა ქმნად, მოსმენად ოდენ პასუხისა მისისად, და შესღვად და უწყებად მეფისად; რამეთუ ესე საეკლესიონი წესნი სიმშჳდით აღესრულებიან».

ოლით უკუე დააწყნარა ებისკოპოსმან უწყსოდა იგი შფოთი. ოა კუალად დასხდეს და მრავლითა გინებითა და შეჩუენებითა შეურაცხ ყვეს მონად იგი ღმრთისად. ოა პრქუა მას **ეტჳფანე** რისხვით და გულის-წყრომით: «თქუ ბოროტთა დღეთა შინა დაძუელებულო, ცუდად მცკოვანო, მწვალელებლად შეგირაცხიეთა მეფე და ჩუენ ყოველნი, და ქალაქი ჩუენი, და მღდელთ-მოდლუარნი, რომელ ესევეთარნი სიტყუანი სთქუენ, ჳეშმარიტად უმეტჳს შენსა ქრისტეანენი ვართ და მართლმადიდებელნი. ოსრეთ გურწამს ქრისტე, ვითარცა ყოველთა ზეცისა ძალთა და ბუნებათა მისთა და ნებათა არა უვარ ვჳყოფთ». ოიუგო წმიდამან **მაქსიმე**: «უკუეთუ ვერეთ გრწამს, ვითარცა ყოველთა ზეცისა ძალთა და ბუნებათა და ნებათა და საქმეთა მისთა აღიარებთ, ვითარცა კათოლიკე ეკლესია, მე ვითარ მაიძულებთ ზიარებად განწყესებასა მას, რომელი ამას სიტყუასა სრულიად წინააღუდგების?» **ეტჳფანე** თქუა: «ესე საქმე განგებულობით იქმნა, რადთა არა ვენებოდის ერსა წულილადთა მათ სიტყუათაგან». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «უფროფსად ყოველი კაცი წმიდა იქმნების ჳეშმარიტითა მით აღსარებითა სარწმუნოებისადთა, არა წინააღდგომითა მართლმორწმუნეობისადთა». **ოროილე** თქუა: «გულსა შინა შენსა გაქუნდინ ვითარცა გნებაჳს, არაფინ გაყენებას». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «უფალმან და მაცხოვარმან ჩვენმან არა ვერე ბრძანა, რადთა

გულსა შინა ოდენ გაქუნდეს სარწმუნოებად, არამედ ესრეთ იტყვს: «რომელმან არა აღმიაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაფსა» (მო. 10, 33), და წმიდად მოციქული იტყვს: «გულსა გრწამსცა სიმართლედ, და პირითა აღიარებდი საცხოვრებლად» (რომ. 10, 10), «რამეთუ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, ვითარმედ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხონდეს» (რომ. 10, 9). ოწ უკუე ვინაფთგან თავადი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ყოველნი წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი ესრეთ იტყვან, რადთა სიტყვთა და გონებითა და კმითა მაღლითა აღვიარებდეთ საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა, დიდსა მას და დიდებულსა და ყოვლისა სოფლისა განმაცხოვრებელსა, არა ჯერ-არს ყოვლადვე დადუმებად ქადაგებისად მის, რამეთუ არა წარწყმდეს ცხოვრებად მათი, რომელნი დუმდენ». **ეტჳფანე** კუალად რისხვით პრქუა მას: «გუჯარსა მას **პრომისსა** დაგიწერია შენცა სახელი და წამებად შენი?» წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ჳე დამიწერია». **ეტჳფანე** თქუა: «და ვითარ იკადრე დაწერად და შეჩუენებად ჩუენდა, რომელთა ესე გურწამს, ვითარცა ზეცისა ძალთა, და ვითარცა კათოლიკე ეკლესიასა; ჳეშმარიტად მე ესრეთ ვბჳბო, რადთა შეგიყვანოთ ქალაქად და დაგადგინოთ უბანსა მას ფოროფსასა შეკრული ჯაჳკვთა და მოკრბენ ყოველნი ღუღანი მამანი და დედანი და ყოველნი მიმოსნი და მეძაფნი უბანთანი და კაცად-კაცადმან გცეს ყურიძალსა და პირსა შეგნერწყოს». ოქუა მას მონამან ღმრთისამან: «უკუეთუ რომელნი აღიარებენ ორთა ბუნებათა ქრისტესთა — ღმრთეებისა და კაცებისა — და შემსგავსებულად ორთა ბუნებითთა ნებათა და საქმეთა, რომელნი იგი ჳეშმარიტად ღმერთი იყო და კაცი, უკუეთუ ამის აღსარებისა მეტყუელნი შეგაჩუენენით, კეთილად ჳბჳბო ეგე, რად სთქუ, და სხუად უმეტესიცა შემამთხვეთ. წარიკითხე, უფალო ჩემო, კელის-წერილი იგი მის კრებისად და გულისკმა-ყავ, მე და მოყუასთა ჩემთა და სხუათა ყოველთა, რომელთაცა წამებად თჳსი მუნ დაუწერია, იგინი შეგაჩუენენით, რომელნი მსგავსად **არიოზისა** და **აპოლინარიისა** იტყვან ერთსა ნებასა და ერთსა საქმესა, და არა აღიარებენ უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესსა ორითავე ბუნებითა მნებებელად და აღმასრულებელად ცხოვრებისა ჩუენისა, ვითარცა პირველითგან გჳსწავიეს წმიდათა მოციქულთა და მახარებელთა და მღდელთ-მოდლუართაგან; რამეთუ არა ახალ არს



სარწმუნოებად ჩუენი, არცა ახალი არს ქადაგებად ჩუენი, ვითარცა მოციქული იტყვს. სრცა ვის ცელქეფების მეფესა გინა მდღელთ-მოძღუარსა ახლისა რადსამე შჯულისა სარწმუნოებასა შინა შემოღებად, არამედ რად იგი პირველითგან წმიდათა მოციქულთა დააწესეს და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს, იოტად ერთი ანუ ერთი ბეწვ არა შეიცვალეს. **ხოლო** იკადროს თუ ვინმე შეცვალებად ანუ შემატებად, ანუ დაკლებად, ესევითარსა მას კათოლიკე ეკლესიად შეაჩუენებს». **სე** ყოველი რად წარმოთქუა ნეტარმან მან, პატრიკთა მათ თქუეს: «უკუეთუ ამისთა სიტყუათა ყურსა უპყრობდეთ, არცა ჭამად მოგუეცალების, არცა სუმად, არამედ აღდევით, ვისადილნეთ და შევიდეთ, ვაუწყოთ მეფესა ზრახვად მაგისი, რამეთუ ამას კაცსა თავი თუსი ეშმაკისადა მიუყიდა». **სლდგეს** და ტაბლად დაიგეს, ჭამეს და სუეს ვითარცა შეპგავს ნაყროვანთა და მომთვრალეთა, და მონად იგი ღმრთისად დაუტევეს პატრონიკთა ეკლესიისათა უზმად. **ოა** ვითარცა ჭამეს და სუეს, წარვიდეს რისხვით და გულის-წყრომით.

**24.** **ოა** ხვალისა დღე მოვიდა წმიდისა **მაქსიმეს-სა თფდოსი** იპატოსი და აღიღო მისგან რად იგი მიეცა და პრქუა მეფისა მაგიერ: «არა ინებე პატოვი და განგეშორა შენ, წარვედ სადა იგი ღირს ხარ და შენ ზედა იყავნ ბრალი არა შენი ოდენ, არამედ მოწაფეთა შენთადაცა, რომელ იგი არს **მესიმბრას** და რომელი არს **პერვერს**, რომელი იგი მწიგნობარი იყო სულკურთხეულისა პანისა ჩემისადა». **სე** პრქუა **თფდოსმან** და მისცა იგი მკედართა, რადთა წარიყვანონ **ვიზოის**, სადა იგი იყო. წარიყვანეს მკედართა მათ და ამას დღესა მიიწინეს ქალაქად, რომელსა წყოდების **სულუმბრია** და დავეს მუნ ორ დღე. **ხოლო** ლაშქარი მკედრობისად დაბანაკებულ იყო მას ჟამსა სანახებთა მათ **სულუმბრისათა**. წარვიდა ერთი მკედართა მათგანი და ქადაგა მხედრობასა შინა, ვითარმედ მონაზონი იგი მგმობარი ღმრთისმშობლისად ესერა მოგუეყავს. **ხოლო** ესე განზრახვით ქმნეს ბირებითა **თფდოსი** იპატოსისადა, რადთა შეაშფოთონ ერი მას ზედა და ბოროტი რადმე შეამთხვონ ანუ თუ მოკლანცა.

შემდგომად ორისა დღისა მოიქცა მკედარი იგი და წარიყვანეს წმიდა **მაქსიმე** და დადგეს კიდესა ბანაკისასა. **ცნა** ესე ერისთავმან და ლმობიერ იქმნა და მიავლინნა მახლობელად მისსა ხუცესნი და დიაკონნი და ჯუარისმპყრობელნი მკედრობისანი. **სიილა** რად ერი იგი ნეტარმან მან, აღდგა და მუკლთ-მოღრეკით მოიკითხნა, ეგრეთვე მათ

ყვეს და დასხდეს. **ხოლო** ერთმან მოხუცებულმან მდღელმან პატოისანმან პრქუა მას კრძალულებით: «მამაო, ვიეთმე დაგუაბრკოლნეს ჩუენ შენდა მომართ და გკთხრეს, ვითარმედ არა აღიარებს ღმრთისმშობელად წმიდასა დედუფალსა ჩუენსა, მარადის-ქალწულსა **მარია**მს. **საფუცებთ** წმიდასა სამებასა ერთარსებასა, გუაუწყე ჭეშმარიტი და ავოცე იტვ ესე გულთაგან ჩუენთა». **სე** რად ესმა წმიდასა **მაქსიმეს**, აღდგა და მიიქცა აღმოსავალით და მოიღრიკნა მუკლნი და განიპყრნა **კელი** ზეცად და თქუა ცრემლით: «ვინ არა აღიარებს და არა ქადაგებს ყოვლადწმიდასა მას უხრწნელსა, უმეტესად-კურთხეულსა და ყოველთაგან ზეცისა მკედრობათა პატოცემულსა დედუფალსა ჩუენსა მარადის-ქალწულსა **მარია**მს ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად, ჭეშმარიტად დედად ღმრთისა შემოქმედისა მის ცათა და ქუეყანისა და ზღვსა და ყოველთა რად არს მათ შინა, წყეულ იყავნ და შეჩუენებულ მამისაგან და ძისა და სულისა წმიდისა, შეურევნელისა მის და განუყოფელისა სამებისა და ყოველთაგან ზეცისა ძალთა და კრებულისაგან წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა და მოწამეთა და ყოველთაგან მართალთა, რომელნი საუკუნიტგან სათნო ყვენეს ღმერთსა». **სე** რად ესმა, ყოველნი ლმობიერ იქმნეს, და ცრემლით ჰქუეს: «ღმერთმან განგაძლიერენ, მამაო, და ღირს გყავნ სრულყოფად სრბად შენი კეთილად და ნებისაებრ მისისა». **ჰერმე** იწყეს სულიერთა სიტყუათა უბნობად და აღაღო ნეტარმან პირი თუსი და ვითარცა მდინარე ედემისად აღმოდიოდა [...] სწავლათა საღმრთოთა, და შემოკრბა ერი მრავალი სმენად შეუნიერთა მათ სიტყუათა. **სიილა** ვინმე სპასალარმან ერის-თავისამან, რამეთუ აღეშენების ერი იგი სიტყუათაგან მისთა და იწყეს ბრალობად მეფისა, რომელ ესე ვითარსა ზეცისა კაცსა სტანჯავს, იტუეულ იქმნა, ნუ უკუე შფოთი აღიძრას ერსა შინა. **ჲრძანა** განყვანებად მისი კიდე ბანაკისაგან, ვითარ ორ მილიონ, ვიდრემდე წარმყვანებელნი მისნი მოვიდენ და წარიყვანონ. **ხოლო** ხუცეს-დიაკონნი იგი წარჰყვეს ორსა მას მილიონსა და მოიკითხეს მოწლედ და თუსითა **კელი**თა აღსუეს საკედარსა და წარგზავნეს ლოცვით და კურთხევით; და წარიყვანეს მკედართა მათ ნეტარი **მაქსიმე** ადგილსა მას პყრობილობისა მისისასა.

**25.** **ხოლო** ვინადგან ყოვლით-კერძო და მრავალ-სახედ ბრძოლა უყვეს წმიდასა **მაქსიმეს** მპყრობელთა მათ და ვერ უძლეს მართლისა სარწმუნოებისაგან მიღრეკად, დიდად საყუე-

დრულად და შეურაცხებად უნდა ესე, რამეთუ არა გულისკმა ყვეს ჭეშმარიტებად, არცა ინებეს სლვად გზასა მას სიმაღლისასა. წმისთესცა შემდგომად მცირედისა ჟამისა, ბრძანებითა მეფისადათა შეიყვანეს ქალაქად წმიდად **მაქსიმე** და ორნივე მოწაფენი მისნი და აღიყვანეს პალატად და დასხდეს კართა ოქროტადრისათა პატრიაქი და ყოველნი მთავარნი და ბჭენი ქალაქისანი, და ბრძანეს შეყვანებად მათი და შევიდეს რად წმიდანი იგი, პრქუა პატრიაქმან წმიდასა **მაქსიმეს**: «მიკერს, მონაზონო **მაქსიმე**, გონებისა შენისა სიფიცხლმ და რომელ ეგე გგონიეს თავი შენი უბრძნეს ყოველთა კაცთა და არა ინებე არცა მეფეთა, არცა მღდელთმოდღუართა, არცა მთავართა სმენად, არამედ შენი ნებად და თვთ-შჯულობად უმტკიცეს ყოველთა ჰყავ. ოწ უკუე შეიგონე და შეინანე ცთომილობად შენი და გიპყრა კელსა და შეგიყვანო წინაშე მეფისა და თავუანი სცე მას და ამბორს უყო და იქმნა შენცა ზიარ ჩუენდა, და იქმნას საქმე ესე საცხორებელად შენდა სულიერად და ცორციელად, აწ უკუე მომიგე პასუხი გონიერი». ღოუგო წმიდამან **მაქსიმე** და პრქუა: «ვინადთგან ყოველივე, რადცა ვთქუათ, ღმერთსა ესმის და არარად დაეფარვის, არარად კელმეწიფების გარეგან მისისა ნებისა თქუმად ანუ ქმნად, ესრეთ უკუე ვიტყვ და მოგაცხენებ: უკუეთუ ჰნებაეს ღმერთი-ღიდებულსა მეფესა და თქუენსა სიწმიდესა მართლისა სარწმუნოებისა, ქადაგებულისა წმიდათა მოციქულთაგან და დამტკიცებულისა წმიდათა მღდელთ-მოდღუართა და წმიდათა კრებათაგან, დამტკიცებად და აღსარებად, მეცა მორჩილ და ზიარ ვიყო თქუენ თანა; უკუეთუ კულა კინოღენი შეცვალებად მართლისა სარწმუნოებისა იქმნების, ჩემგან ღონმ წამებისა და შეწყნარებისა არა არს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: «მორჩილებად ჯერ-არს ღმრთისა და არა კაცთადა» (საქმ. 5, 29).

26. სატრიაქმან თქუა: «რად არს სარწმუნოებად შენი და ვითარ აღიარებ, გუაუწყე». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ვითარ მრწამს და აღვიარებ, უკუეთუ გნებაეს, ვიტყოდი». ჴოველთა მთავართა პრქუეს: «იტყოდე უეჭუელად, რადთა საცნაურ იქმნას ცთომად შენი». წმიდამან **მაქსიმე** გამოსახა სასწაული ჯუარისადა პირსა თვსსა და თქუა: «მრწამს ერთი ღმერთი მამად უშობელი, და ერთი ძმ და სიტყუად ღმრთისადა, მამისაგან შობილი, და ერთი სული წმიდად, მამისაგან გამომავალი; სამგუამოვნებად, განყოფილი რიცხვთა და თვთებითა მით გუამოვნებისადა და განუყოფელი

ღმრთებითა, რამეთუ განიყოფვიან განუყოფელად და შეიერთებიან შეურყენელად; ამისთესცა ვიტყვთ სამგუამოვნებასა და ერთარსებასა, და ერთსა ბუნებასა ღმრთებისასა, რამეთუ ზოგადი არს სამთადვე ღმრთებად და საღმრთოსა ბუნებისა სახენი; ხოლო თვსი თითოეულისადა: მამისადა მამობად უშობელი, და ძისადა ძეობად შობილი, და სულისა წმიდისა გამოსლვად, რამეთუ არცა მამად შეიცვალეების ძედ ანუ სულად, არცა ძმ მამად ანუ სულად, არცა სული წმიდად მამად ანუ ძედ, რამეთუ თვთებანი შეუცვალეებელ არიან. იმერთად აღვიარებ თითოეულსა, რამეთუ სრული ღმერთი არს მამად, სრული ღმერთი არს ძმ, სრული ღმერთი არს სული წმიდად, არამედ არა სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ ღმრთებად, სამითა გუამითა თანაარსითა; არცა ბუნებითა განიყოფებიან, არცა ადგილით, რამეთუ სადაცა არს მამად, მუნცა ძმ და სული წმიდად, და სადაცა ძე, მუნ მამადცა და სული წმიდად, და სადაცა სული წმიდად, მუნ მამადცა და ძმ. სამებასა თავუანის-ვსცემ ერთარსებით და ერთარსებასა სამებით, ერთარსებასა სამგუამოვნასა და სამებასა ერთარსებასა, თანადაუსაბამოსა, სწორსა ძლიერებითა და პატვიითა. წრთსა ღმრთებასა აღვიარებ წმიდისა სამებისასა, ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა კელმეწიფებასა, ერთსა უფლებასა, ერთსა მეუფებასა, დაუსაბამოსა და დაუსრულებელსა, დაუბადებელსა, უხილავსა, გარეშემოუწერელსა, მოუგონებელსა, უსაზღვროსა, უცვალეებელსა, უკუდავსა, უვნებელსა, ყოველთა დამბადებელსა და მპრყობელსა და განმგებელსა, ცისა და ქუეყანისა და ზღვსა და ყოველთა ხილულთა და უხილავთა არარადსაგან არსად მომყვანებელსა, შემოქმედსა და დამბადებელსა, რომელმან დაჰბადნა პირველად ზეცისა ძალნი და მკედრობანი ბევრეულნი აურაცხელნი, სიტყვთ დაჰბადნა და სულითა წმიდითა სრულ ყვნა.

ჴერმე თქუა: და იქმნეს ცად და ქუეყანად, ზღუად და ყოველი რად არს მას შინა; უკუანადსენელ დაჰბადა კაცი ხატად თვსად და მსგავსად, ესე იგი არს თვთმფლობელად, და თვსითა ნებითა მიმაგალად, და გამომრჩეველად გინა თუ კეთილისა გინა თუ ბოროტისა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას ფუფუნებისასა; ხოლო შურითა ეშმაკისადათა სცთა და მოცემულსა მას მცნებასა ღმრთისასა ნებსით გარდაჰზდა, და გამოვარდა ღიდებისა მისგან და საშუებელისა სამოთხისა, და თანამდებ სიკუდილისა იქმნა, და დაემორჩილა



მტერსა მას განდგომილსა. წრამედ არა უგულებელს ყო იგი დამბადებელმან, ამისთჳს ჯერ-იჩინა და ინება მხოლოდ-შობილმან მან ძემან და სიტყუამან ღმრთისამან გამოუთქმელითა მით კაცთ-მოყუარებითა, ნებითა მამისა და სულისადა, ძიებად დაბადებულთა თჳსთაჲ, გარდამოჴდა წიაღთაგან მამისათა, ვინაჲ იგი არასადა განეშორა და დაიმკდრა საშოჲ ყოვლადწმიდისა მის ქალწულისაჲ სულისა მიერ წმიდისა, და მიიხუნა მისგან ცოცხნი სულითურთ პირმეტყუელით, და იშვა ღმერთი განცოცხლებული, იშვა გამოუთქმელად, და ქალწულებად იგი დედისაჲ დაიცვა განუხრწნელად, არა თავს-იდვა შერეენაჲ, ანუ შეცვალებად, არამედ რაჲ იგი იყო, ეგო და რაჲ არა იყო, იქმნა; შეიმოსა ხატი მონისაჲ ჭეშმარიტად, არა უცნებით და ყოვლითურთ გუემს-გავსნა ჩუენ თჳნიერ ცოდვისა. ჰამეთუ აღვიარებ მას საუკუნოდ, და ჟამიერად დაუბადებელად და დაბადებულად, უგნებელად და ვნებულად, უკუდავად და მოკუდავად; იგივე ღმერთი და კაცი, არა თუ სხვაჲ და სხვაჲ, არამედ ერთი არს იგივე პირველ განცოცხლებისა და შემდგომად განცოცხლებისა; ერთი შეზავებული გუამი ორითა სრულითა ბუნებითა და ორითა ბუნებითითა ნებითა, და ორითა საქმითა ერთგუამად შეერთებულითა უცვალებელად და შეურევენელად; იგივე ნებსით ინებებდა და იქმნოდა საღმრთოთა საქმეთა ვითარცა ღმერთი, და იგივე ნებსით ინებებდა და იქმნოდა კაცობრიეთა და უბრალოთა საქმეთა ვითარცა კაცი, რამეთუ ბუნებაჲ უნებელი და უსაქმოჲ არა არს. წრა იძულებით დამორჩილებულ იყო იგი ბუნებითთა თანანადებთა, რამეთუ ნებსით იშვა, ნებსით შეეშია, ნებსით მოეწყურა, ნებსით დაშურა, ნებსით შეეშინა, ნებსით ჯვარს-ეცვა, ნებსით მოკუდა, ჭეშმარიტად და არა უცნებით. ოსე ყოველი ნებითა კაცობრივისა ბუნებისაჲთა ყოველივე ბუნებითი და უბრალოჲ წესი კაცებისაჲ თაჳს-იდვა; მერმე ჯუარს-ეცუა, გემოდ სიკუდილისაჲ იხილა უცოდველმან, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, რამეთუ ცოცხთა მისთა ხრწნილებად არა იხილეს, და თანა აღადგინა ბუნებაჲ კაცობრივი, ამაღლდა ზეცად ბუნებითა მით კაცობრივითა, და დაჯდა მარჯუენით მამისა; და კუალად მომაგულ არს განშჳად ცხოველთა და მკუდართა, რაჲთა მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ, ოდეს იგი ბრძანებითა მისითა დასცეს მთავარანგელოზმან საყვრსა, და აღდგენ მკუდარნი და გამოვიდენ სამარეთაგან, მაშინ რომელთა დაიმარხეს მართალი სარწმუნოებაჲ და

ქმნეს საქმენი კეთილნი, წარვიდენ ცხოვრებად საუკუნოდ, ზოლო ცოდვილნი და შეურაცხმყოფელნი მართლისა სარწმუნოებისანი სატანჯველად მიეცნენ საუკუნოდ. წმას ზედა აღვიარებ ერთსა ნათლის-ღებასა წყლისა მიერ და სულისა, განმწმედელსა ყოვლისავე ბრალისა, სულისა და ცოცხთა. ოუზიარები უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა და მრწამს, ვითარმედ არს ჭეშმარიტად ცოცხი და სისხლი ჩუენთჳს განცოცხლებულისა სიტყვსა ღმრთისაჲ, რომელმან მოგუცა ცოცხი და სისხლი თჳსი მოსატევებელად ცოდვათა. შევიწყნარებ ყოველთა წესთა ეკლესიისათა, დაწესებულთა მოციქულთა მიერ და წმიდათა კრებათა. წაყუანის ვსცემ და ამბორს უყოფ პატიოსანსა ხატსა ქრისტესსა, რამეთუ სახმ არს განცოცხლებისა მისისაჲ. წაყუანის ვსცემ ძელსა პატიოსანსა ჯუარისასა და ყოველთა სამღვდლოთა ჭურჭელთა: წმიდასა სახარებასა და წმიდასა ბარძიმსა და რაჲცა შეჩების დიდებულთა მათ საიდუმლოთა და წმიდათა ეკლესიათა, მის ძლით რომელმან ჯერ-იჩინა ჩუენთჳს კელით-ქმნულთა ტაძართა შინა დამკვდრებაჲ. წაყუანის ვსცემ ხატსა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა და ყოველთა წმიდათასა სიყუარულისათჳს მხოლოდსა ღმრთისა, და არა ფერთა მათ და წამალთა შინა დაუტეობ გონებასა, არამედ სულიერთა თუალთა აჳამადლებ პირშოთა მათ სახეთა მიმართ. წაყუანის-ვსცემ ნაწილთა წმიდათასა, რამეთუ აქუს მათ ღმრთისა მიერ მადლი სიწმიდისაჲ. ოსრეთ მრწამს, ესრეთ აღვიარებ, ესრეთ ნათელღებულ ვარ და ყოველთა მწვალებელთა და ყოველსა წვალებასა შევარუენებ. შევიწყნარებ და პატივს ვსცემ წმიდათა კრებათა ნიკიასა სამას ათვარამეტთა წმიდათა მამათა, და კოსტანტინეპოლისა ას ორმოც და ათთა წმიდათა მამათა, ეფესოსისა პირველთა ორასთა წმიდათა მამათა, ქალკიდონისა ექუსას ოც და ათთა წმიდათა მამათა, კოსტანტინეპოლისა კუალად ას სამოც და ოთხთა წმიდათა მამათა და სხუანიცა სადა რომელ იქმნენ კრებანი, დამამტკიცებელნი მართლისა სარწმუნოებისანი, რომელნიცა კათოლიკე ეკლესიაჲმან შეიწყნარნა, და რომელნიცა წმიდათა მათ კრებათა შეიწყნარნეს, და რომელნი მათ შეარუენეს, შევარუენებ, და ვადიდებ და უგალობ და თაყუანის ვსცემ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელსა ჰშუენის დიდებაჲ პატივი და თაყუანის-ცემად აჳ და მარადის და უკუენით უკუენისამდე, ამინ».

27. ოსნკჳრდეს ყოველნი იგი ესრეთ კეთილად

შეწყობასა მას და კმამაღლად ქადაგებასა მართლისა მის და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისასა. სატრიაქმან ჰრქუა მას: «დიდებულსა ამას საყდარსა სამეუფოსა ქალაქისასა და დიდსა ამას და სახელოვანსა ეკლესიასა რასა ცთომასა 3 პხედავ, რომელ არა გუეზიარები, არამედ იჭუ-სა წვალეებისასა გუწამებ და ასწავლი ყოველთა არა მშვდობასა და ერთობასა, არამედ შფოთსა და განხეთქილებასა». წმიდამან **მაქსიმე** ჰრქუა: «რამეთუ შეურაცხ-ჰყავთ მოციქულთა და მათაგან დამტკიცებული სარწმუნოება ქრისტეანობისად, ამისათვის ვერ ვიკადრებ ზიარებად თქუენდა, რადთა არა წარგწყმიდო სული ჩემი». სატრიაქმან ჰრქუა: «რომლითა სახითა იტყვ მაგას, უგუნურო ბერო, ვითარ სახედ შეურაცხ-ვეყვთ სარწმუნოება ქრისტეანობისად?» წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ერთი ნება და ერთი საქმე ღმრთეებისა ქრისტესისად და კაცებისად 3 ქადაგეთ და დასწერეთ და ბიწად ეკლესიისა და საყნებელად ერისა დაჰკიდეთ ეზოსა ეკლესიისასა. შე არს ცთომად და მიზეზი განწვალეებისად». სატრიაქმან თქუა: «აწ უკუე ვინ ერთსა ნებასა და საქმესა ქრისტესსა ქადაგებდეს, განდრეკილად და მწვალებელად შეჰრაცხავა?» წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ჰე, უეჭუელად დიდი წვალეება არს ესე და რად უძერეს არს ამისა, უკუეთუ ვინ იტყოდეს თუ ერთითა ნებითა პირველ კორცთ-შესხმისა ყოველივე არარადისაგან დაჰბადა, და უჰყრიეს ყოველივე და განაგებს არსებასა და ცხორებასა ყოველთა არსთასა; და შემდგომად განკაცებისა უნდა საზრდელისა და სასუმელისა მიღებად და ადგილითი-ადგილად მისლვად და ძილი და შრომისაგან განსუენებად გუამისად, რადთა ამით ყოვლითა დაამტკიცოს ჭეშმარიტი და არა საოცრად ქმნული განკორციელებისა განგებულებად. 10 წუ ვითარ ეგების ორისა ამას ჯერისა თქუამდ ერთ ნებად და ერთითა გონებითა ქმნულად, რამეთუ ზემოთქმული იგი ნებად ღმრთეებისად არს, რომლითა ყოველივე არაარსისაგან არსად მოიყვანა და უჰყრიან ყოველნი დაბადებულნი და განაგებს ცხორებასა მათსა, და კუალად კაცობრივნი ესე ნებითა კაცებისადთა ადასრულნა, რამეთუ ვითარცა ორი ბუნებად იყო, ვერეთვე ორი ნებად. 15 წლმოიკითხეთ წმიდა სახარებად რასა იტყვს: «ზვალისა დღე უნდა გალილიად განსლვად» (ინ. 1, 43), — საცნაურ არს, ვითარმედ არა იყო გალილევსა და ინება მუნ მისლვად; ხოლო არა იყო კაცებისა ბუნებითა და გუამითა, ხოლო ღმრთეებით ყოველგან იყო. 20 25 30 35 40 45

კაცობრივ უნდა მუნ მისლვად. 20 კუალად იტყვს: «მამაო, რომელნი მომცენ, მნებაჲს, რადთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა იყვნენ ჩემ თანა» (ინ. 17, 24). 25 წუ უკუე ლოცვად იგი უფლისად არა კაცობრივისა ბუნებისად იყო? ჰე, ჭეშმარიტად, რამეთუ ღმრთეებით უზემთაჲს არს ადგილთა და საყანეთა, რამეთუ არა შეიწყუდვეს ღმრთეებად ადგილსა, ხოლო დაბადებულნი უზემთაჲს ყოვლისა ვერ არიან. 30 საცნაურ არს, ვითარცა ლოცვად იგი კაცობრივისა ბუნებისად იყო, ვერეთვე ნებად იგი, რომელ თქუა, თუ *მნებაჲს*; და კუალად იტყვს: «და მოიყვანეს იგი ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან გოლგოთა, და თქუა, მწყურის, და მისცეს მას ძმარი ნავლითა შეზავებული, და მი-რად-ილო, 35 არა უნდა სუმის» (მთ. 27, 33-34; ინ. 19, 28). 40 წუ ესე არანებად სუმისად, არა კაცებისად არსა? და კუალად იტყვს: «ვითარმედ იქცეოდა იესუ გალილევასა და არა უნდა ჰურიასტანს სლვად» (ინ. 7, 1). 45 სლვად უკუე და ქცევად და წყურთილი ბუნებისად იყო კორცთადსა და არა გუამოვნებით შეერთებულისა მის მისლად ღმრთეებისა. 50 55 60 65 70 75 80 85 90 95 100 105 110 115 120 125 130 135 140 145 150 155 160 165 170 175 180 185 190 195 200 205 210 215 220 225 230 235 240 245 250 255 260 265 270 275 280 285 290 295 300 305 310 315 320 325 330 335 340 345 350 355 360 365 370 375 380 385 390 395 400 405 410 415 420 425 430 435 440 445 450 455 460 465 470 475 480 485 490 495 500 505 510 515 520 525 530 535 540 545 550 555 560 565 570 575 580 585 590 595 600 605 610 615 620 625 630 635 640 645 650 655 660 665 670 675 680 685 690 695 700 705 710 715 720 725 730 735 740 745 750 755 760 765 770 775 780 785 790 795 800 805 810 815 820 825 830 835 840 845 850 855 860 865 870 875 880 885 890 895 900 905 910 915 920 925 930 935 940 945 950 955 960 965 970 975 980 985 990 995



და მისცა მცნებად, ზოლო მან არა დაიმარხა, არამედ ისმინა განზრახვად გუელისად და იხილა ხმ იგი, და სათნო ეყო, მიიღო ნაყოფისა მისგან და ჭამა; ნებსით დაემორჩილა ზრახვასა მას მტერისასა, არა თუ იძულებით, ნებსით იხილა ნაყოფი იგი; ნებსით ჭამეს ორთავე. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ პირველი მოქმედი ცოდვისად და ურჩებისად მის ნებად იყო **ადამისი**; და ამის გამო პირველი ვნებული და შეცოდებული ნებად იყო კაცებისად. მკუთუ ქრისტემან შეიმოსა რად ბუნებად კაცობრივი, ნებად კაცებისად არა მიიღო, არა სადამე განთავისუფლებულ არს ბუნებად ჩუენი სრულიად ცოდვისაგან, რამეთუ რომელიცა ქრისტემან არა შეიმოსა, არა განთავისუფლდა ცოდვისაგან, და არს სადამე პირველ ყოვლისა ცთომილი იგი ნებად უკურნებელ, არამედ ესე თქუმად უჯერო არს, რამეთუ სახიერმან მან ბუნებად ჩუენი ყოვლითურთ შეიმოსა თვნიერ ცოდვისა და ყოვლითურთ განგუკურნა, რამეთუ თვთმფლობელად დაჰბადა ღმერთმან კაცი, ზოლო თვთმფლობელობად ნებისად ძალი არს. ჩამეთუ ბუნებისა მას თვთმფლობელობასა ნებად უწესეს წმიდათა მამათა. ზი უკუეთუ თვთმფლობელი ნებად კაცებისად უკუეთუ არა მიიღო უფალმან, ვითარ იყო სრული კაცი? ჩანს უკუე ამის ყოვლისაგან, ვითარმედ აქუნდა უფალსა კაცობრივისა ბუნებისა ნებად, ვითარცა ესერა გუეუწყა სახარებისაგან და მოციქულისა.

ჴოლო ღმრთეებისადა ნებად მისი გვსწავიეს სახარებისაგან, რამეთუ იტყვს: «იერუსალმ, იერუსალმ, რომელმან მოსწყვდენ წინაწარმეტყველნი და ქვა დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენგზის ვინებე შეკრებად შვილთა შენთა, ვითარცა შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თვსნი ქუეშე ფრთათა და არა ინებეთ» (მთ. 23, 37); ცხად არს და უწყებულ, ვითარმედ არა კაცებისა ნებად თქუა, არამედ ღმრთეებისად, რამეთუ კაცებად მისი ახლად ქმნულ იყო, ზოლო თავადმან აღრინდელთა საქმეთათვს თქუა: რაოდენგზის ვინებეო შეკრებად შვილთა შენთა. Ⴎვსენა ვგუბთით გამოყვანებად მათი, ქუეყანად აღთქუმისა შეყვანებად, აურაცხელნი იგი სასწაულნი, კუალად მრავალთა ტყუეობათაგან გამოვსნანი, რომელ იგი უწინარეს განკაცებისა იყვნეს ნებითა მით ღმრთეებისად, და იტყვს: «ვითარცა იგი მამად აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ვერეთცა ძმ, რომელთაჲ ჰნებაჲ აცხოვნებს» (ინ. 5, 21); და ესე ნებად ღმრთეებისად არს, რამეთუ არა კაცებისად არს, არამედ თანაარ-

სისა მის მამისა თანა ძისად. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ვითარცა ორნი ბუნებანი ქადაგებულ არიან ქრისტესნი, ვერეთვე ორნი ნებანი და ორნი საქმენი».

5    სე ყოველი რად წარმოთქუა წმიდამან **მაქსიმე**, ყოველთავე, რომელთა ესმა, გულისკმა-ყვეს ჭეშმარიტებად სიტყუათა მისთა და ვერვინ შემძლებელ იყო სიტყვს-გებად ანუ წინააღმდგომად მისა, რამეთუ არა იგი იყო მეტყუელ, არამედ სული წმიდაჲ ასწავლიდა საიდუმლოთა მათ საღმრთოთა, ვითარცა ჰრქუა უფალმან მოწაფეთა თვსთა, ვითარმედ: «ოდეს იგი მიგიყვანებენ წინაშე მეფეთა და მთავართა, ნუ ჰზრუნავთ რად სიტყუათ ანუ რად მიუგოთ» (მთ. 10, 19; მრკ. 13, 11; ლკ. 12, 11), და შემდგომი ამისი.

28. ჴოლო დადაცათუ გულისკმა-ყვეს ყოველთა ძალი სიტყუათა მისთა, არამედ სათნოებისათვს მეფისა და პატრიარქისა არა აღიარეს ჭეშმარიტებად, რამეთუ შეიყუარეს ღიდებაჲ კაცთად, ვიდრეღა ღიდებად მხოლოდსა ღმრთისად. ჴოლო მწიგნობართ-მთავარი წერდა ყოველსავე, რასაცა იტყოდა ნეტარი იგი. ჴუალად ჰრქუა პატრიარქმან: «იხილე **მაქსიმე**, ნუ უკუე ვერ მიეთმზო სხუასა ჩემებრსა მოხუადშენსა წინაშე მეფისა. 25    სულისკმა-ყვ და ისმინე სიტყუად ჩემი და ამათ მთავართა ყოველთაჲ». წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ესე რომელ წარმოთქუა სარწმუნოებად, ამისგან მიდრეკად მარჯულ, გინა მარცხლ ჩემგან შეუძლებელ არს; რადცა გნებაჲს ქმენით». საკლარმან ჰკითხა მოწაფეთა მისთა: «თქუენ რასა იტყვთ, შეინანებთა ცთომილებასა თქუენსა და შემოერთებით წმიდასა ეკლესიასა და კეთილი გეყოს თქუენ». ჰიუგეს და ჰრქუეს მათ, ვითარცა ერთითა პირითა: «რასაცა მოძღუარი ჩუენი იტყვს, 35    ჩუენცა მას ზედა მტკიცე ვართ და შეურყეველ და მართლდსარებისგან არა შევირყევით». ჴევიდა მწიგნობართ-მთავარი და ყოველივე აუწყა მეფესა. სანრისხნა იგი და ბრძანა შეჩუენებად მათი და მითუალგად ეპარხოისისადა, რადთა წარიყვანოს სამშჯავროსა თვსსა და რადცა განჩინებად განვიდეს მათთვს, აღასრულოს. წარიყვანეს ნეტარი იგი სამშჯავროსა მას, რომელსა ყოდეების **პრეტორი**.

29. Ⴎა ზვალისა დღე დაწერა მეფემან და ბჭეთა განჩინებად ნეტართა მათ მამათათვს და წარსცა ეპარხოისსა. ჰაშინ დაჯდა ეპარხოისი დალიჭსა მას ბჭობისა მისისასა და ბრძანა წარმოდგინებად ნეტართად მათ. Ⴎა ვითარცა წარმოდგეს, ბრძანა წარკითხვაჲ განჩინებისად მის და ესრეთ წერა:

«ღმრთივ-დაცულმან მეფემან და ყოველთა ბჭეთა და მთავართა შჯულიერად და სამართლად განჩინებად ესე განვაჩინეთ თქუენ ზედა, **მაქსიმე** მონაზონო და **ანასტასიოს** და **ანასტასიოს**; ჯეროიყო შემსგავსებულად უკეთურებისა თქუენისა და ბოროტად-მეტყველებისა, უფიცხესითა ტანჯვითა ტანჯვად თქუენი, არამედ არა ვინებეთ ღირსად ბრალთა და გმობათა თქუენთა მიგებად, რადთა ჯეროვანი მისაგებელი მერმესა მას საუკუნესა მიიღოთ, ხოლო ამას საწუთროსა ცხორებასა თქუენსა მიგანიჭებთ; გარნა მცირედი რამე საწურთელად უწესოებისა და განდგომილებისა თქუენისა უბრძანებთ დიდებულსა ეპარხოსსა, რადთა წარმოგადგინეს ქალაქპეტობისა მისისა სამშჯავროსა და შოლტითა ზურგი თქუენი უწყალოდ გუემოს, და მერმე ენანი სამთანოვე ძირით აღმოგაკუეთნეს, და მარჯუენანი კელნი, მწერალნი გმობათანი, მახვლითა დაგკუეთნეს და შემდგომად დაჭრისა ბოროტთა მათ ასოთა თქუენთა, განგაქიქნეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეუფომსა ამის ქალაქისათა და შემდგომად განქიქებისა მის, წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პერობილობასა კერძოთა **სამეგრელომსათა**, რადთა იგლოვდეთ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა გმობისა თქუენისა ცთომილებასა». ჩარიკითხეს რად ესევეთარი იგი განჩინებად, ბრძანა ეპარხოსმან ტანჯვად მათი. წმიდამან **მაქსიმე** თქუა: «ყოველსავე ზედა მადლი და დიდებად, პატოვი და თაყუანის-ცემად მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ». ჩეტართა მათ ძმათა თქუეს: «ამენ».

30. ჰამინ გუემნეს უწყალოდ მონანი იგი ღმრთისანი და დაკუეთნეს ენანი და კელნი მათნი, და მოაჴლნეს ყოველსავე ქალაქსა, ბრძანებისაებრ მძლავრისა მის, და წარავლინნა ექსორიობად **სამეგრელოს** წმიდანნი იგი აღმსარებელნი და მოწამენი. ღოლო მიიწინეს რად ქუეყანასა მას **მეგრელოსა**, მეყსეულად განყვნეს იგინი ურთიერთას, რამეთუ ესრეთ მიეღო ბრძანებად; და რადცა აქუნდა საკმარად ღორცთა, ყოველთავე იავარ-ყვეს, არად დაუტევეს მათ თანა ყოვლადვე, რაოდენიცა რად ღმრთის-მოყუარეთა კაცთა მიეცა და ნეტარი იგი წმიდად **მაქსიმე** უძლურებასა შინა დიდსა იყო, ვერ ეძლო ვერცა კარაულსა ზედა ჯდომად, ვერცა საგარძელსა, არამედ ქმნეს ღასტი და დადგეს მას ზედა და ატკრთვიეს პაპრაკთა, და წარიყვანეს და შეაწყუდიეს ციხესა, რომელსა ეწოდებოდა **ჰიმარ**, მახლობელად ქუეყანასა

**ოესეთისასა**. ოა ძმად **ანასტასიოს** საკედრითა წარიყვანეს და შეაყენეს ციხესა **აფხაზეთისასა**, რომელსა ეწოდების **კოტორი**. ოა მეორე **ანასტასიოს**, რომელმან ესე ყოველი აღწერა და მომიძლუანა **თვედოსი** ზუცესსა, რომელმან აღეწერე ყოველთავე ესე მოღუაწებად წმიდისა **მაქსიმესი**, ესე **ანასტასიოს** შეაყენეს ციხესა სახელით **ბოკელეს**, საზღვართავე **ოესეთისათა**. ჰერმე შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანნეს სეზნანი იგი ძმანი ციხეთა მათგან და წარიყვანეს **ანასტასიოს** ზუცესი ციხესა **სუანთა** სოფლისასა; და იყო იგი მიახლებულ სიკუდილსა, მრავალთა მათ ტანჯვათაგან და ჭირთა, რომელნი შეემთხვნეს **ბიზანტიას** და გზასა; და ვიდრე არღა მიწვეწულ იყო ციხესა მას, აღესრულა და მივიდა სიხარულით სასუფეველსა ცათასა, თუესა იფლისსა ოც და ოთხსა. ღოლო **ანასტასიოს** დიაკონი წარიყვანეს ციხესა **თაკუერიასა** **აფხაზეთს** და იყოფოდა მუნ ვიდრე სიკუდილადმდე მეფისა მის მწვალებელი-სა. წმისა შემდგომად მიეცა ფლობად და მოვიდა **საბერძნეთად**, და ყოველთავე გუაუწყა, რად იგი შეემთხვა მათ და მოღუაწებითა დიდითა აღასრულა ცხორებად თვსი, და ღირს იქმნა მოყუასსავე თვსთა თანა სავანეთა ზეცისათა.

31. ღოლო წმიდად იგი და სანატრელი **მაქსიმე**, ჭეშმარიტი იგი მონა, აღმსარებელი ქრისტეშისი შეიყენა ზემოწერილსა მას ციხესა, და იყოფოდა მუნ ვითარცა ანგელოზი ღმრთისად, არა დასცხრებოდა ღოცვისა და გალობისაგან დღე და ღამე, და მარხვად ეყვრა შემსგავსებული სიჭაბუკისა მისისა ჟამთად, და ღმრთისა მიმართ ზედვად გონებისა მისისად დაუცადებულ იყო. ღოლო გზითცა და ციხითცა წერდა ებისტოლეთა სულიერითა და მართლისა სარწმუნოებისათვს საყუარელთა მიმართ; რამეთუ კალამი მოეების კელსა მას დაკუეთილსა და წერნ; და ჩუენ ყოველთა გვიხილავნ ებისტოლენი იგი დაკუეთილითა მით კელითა დაწერილნი.

ღოლო შემდგომად ოთხისა თვსა შეყენებისა მის მისისა ციხესა მას, მოვიდა მისა ანგელოზი ღმრთისად და ახარა განსლვად მისი ამიერ სოფლით და მოსლვად წინაშე ღმრთისა. ოა მოუწოდა ნეტარმან მან ციხისთავსა მას და სხუათა მუნ მყოფთა და აუწყა, ვითარმედ შემდგომად შვიდისა დღისა განვალ სოფლისა ამისგან; რამეთუ მადლითა ქრისტესითა დაუყენებულად ზრახვიდა და ებისტოლესა დაწერა **ანასტასიოს** მიმართ დიაკონისა, რამეთუ **ანასტასი** ზუცესი აღსრულებულ იყო. ოა მისცა ებისტოლმე იგი ციხისთავსა და



ვედრა, რადთა შემდგომად აღსრულებისა მისისა წარსცეს წიგნი იგი ძმისა მის მიმართ, და ვერცა ყო კაცმან მან, და იგიცა ებისტოლმ გუზილავს სავსმ მადლითა სულიერითა. ჰიერითგან საზრდელისა გემოდ ნეტარმან მან არა იხილა და მეექუსესა დღესა მცირედი სიმკურვალმ შეემთხვა, და ზვალისა დღე კელთა ღმრთისათა შეპედრა სული თვისი სიხარულით და მხიარულებით, თთუესა აგვისტოსსა ცამეტსა, დღესა შაბათსა.

თა წარვიდა ჭირთაგან და ღუაწლთა განსუენებასა საუკუნესა, და მიიღო გვრგვნი მოღუაწებისა და წამებისა. წყო მახლობელად ციხისა მის მონასტერი წმიდისა **არსენისა**, მუნ დაჰმარხეს წმიდა იგი გუამი მისი სადიდებელად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. ღოლო აჩუენა უფალმან სასწაული დიდი, რამეთუ სამნი ლამპარნი ბრწყინვალენი ზეცით მოვიდეს და დადგეს სამარხოთა მას ზედა, სადა წმიდა იგი გუამი მისი დამარხულ იყო და დაადგრეს მას ზედა ვიდრე წელიწადამდე, დღედ აღსრულებისა მისისა, რომელთაცა მყოფნი მის ციხისანი და მონასტრისანი და ყოველნი მახლობელნი ზედვიდეს და ადიდებდეს ღმერთსა, და მიუთხრობდეს ქუეყანით-ქუეყანად დიდებულსა მას სასწაულსა. თა კურნებანი და სასწაულნი მრავალნი იქმნებოდეს დღითი-დღე საფლავსა მას მის ნეტარისასა. ოდესრულა, ვითარცა ვთქუ, ღმერთ-შემოსილი მამად ჩუენი და აღმსარებელი ქრისტესი **მაქსიმე** თთუესა აგვისტოსა ცამეტსა. ღოლო აღსრულებისა საცხენებელი მისი მას დღესაცა, და კუალად აღსრულების თთუესა იანვარსა ოც და ერთსა, ოდეს იგი ტანჯეს და დაჰკუეთეს წმიდა იგი ენად და კელი მისი, რამეთუ ესრეთ განაწესეს წმიდათა მამათა მეექუსისა მის კრებისათა.

32. ღოლო ოდეს ესე ყოველი ესრეთ იქმნა, მაშინ შემდგომად ექსორობისა წმიდისა **მარტინესისა**, ნეტარმან **აგათონ** მიიღო მღდელთ-მოძღურებად **პრომისა**, და შემდგომად ექსორობისა წმიდისა **მაქსიმესა** ყო კრებად ას ოც და ოთხთა ებისკოპოსთად, და წვალებად იგი ერთისა ნებისა მეტყუელთად შეაჩუნეს, და ორნი ნებანი და ორნი საქმენი ქრისტესნი და ორნი ბუნებანი ქადაგნეს და დაამტკიცნეს. ღოლო საშჯელი ღმრთისად მოიწია ესევითართა უშჯულოებათა მოქმედსა მას მეფესა ზედა, და განკადა იგი **სვრატოსეს სიკილიისასა**, რადთა მუნ მიიღოს ნაცვალი საქმეთა თვისთად. ღოლო მიზეზი ესე იყო: ესუა მას ძმად სახელით **თეოდოსი** და შურითა ბოროტითა მოკლა იგი. ზუუძნდა ესე ყოველსა მას

ქალაქსა **ბიზანტიისასა** და მოიძულეს იგი უმეტესად ამისთვს, რომელ წმიდა **მარტინე პრომისა** პაპად მრავლითა შეურაცხებითა ექსოროია ყო **ქერსონეთს**, და წმიდასა **მაქსიმეს** და მოწაფეთა მისთა ენანი და კელი დაჰკუეთნა და **ოგსეთისა** საზღვართა ექსოროია ყვნა. ჴილა რად შზაკუარმან მან, ვითარმედ მოიძულეს ყოველთა, განიზრახა მიცვალებად მეფობისად **პრომს**. ჴეკრიბა ერი და წარემართა **პრომედ**, და მიიწია რად **თესლონიკედ**, წარავლინნა სამეფოს მოყვანებად ცოლისა და შვილთა მისთა. ღოლო მთავართა და ერთა **კონსტანტინეპოლისათა** არა მისცნეს. ღოლო უკეთური იგი მივიდოდა **პრომედ**. ჰიავლინეს მეოფთა **პრომისათა** და აუწყეს, ვითარმედ: «ნუ მოხუალ აქა, არა შეგიწყნარებთ მწვალებელო». ჴე რად ესმა, მივიდა **სიკილიას** და მუნ იყოფვოდა, და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რადთა ბრძოლა უყოს **პრომსა**. ღოლო დღესა ერთსა შევიდა ბანად აბანოსა მას, რომელსა ქოდეების **დაფნი** და თანა შეპყვა **ანდრია**, ძმ **ტროილმსი** მსახურად. ღოლო იცხო რად საპონი თავსა და იბანებოდა, აღიღო **ანდრია** სატლი ვეცხლისად დიდი, რომლითა წვალსა ტფილსა და გრილსა აღმოასხმიდეს, და სცა თხემსა მისსა და მეყსეულად მოაკუდინა. თა იგი განვიდა, შევიდეს სხუანი და პოვეს იგი მომკუდარი და განიყვანეს და დაჰფლეს. თა აღესრულა მის ზედა სიტყუად იგი წერილისად, ვითარმედ: «მოკუდა უშჯულოდ და წარწყმდა საცხენებელი მისი». ჰაშინ მის თანა მყოფთა მათ ერთა დასუეს მეფედ კაცი ვინმე **სომეხი**, სახელით **მიზიზე**, იძულებით, რამეთუ იყო ხილვითა ვითარმედ შუენიერი, და სიმკნითა ახოვანი. ჴსმა ესე **კონსტანტინეს**, ძესა მისსა და იქადაგა მეფედ, და აღიღო მკედრობად ქუეყნით და ზღვთ, და მიიწია **სიკილიას** და შეიპყრა **მიზიზე** და სხუანი იგი მკლველნი მამისა მისისანი და მოკლნა იგინი, და დააწყნარნა კერძონი იგი დასავლისანი, და მოიქცა **კონსტანტინეპოლედ** და მეფობდა **ტიბერის** თანა და **ჰერაკლეს** ძმათა თვსთა.

33. ომან **კონსტანტინე** მეფემან გულისკმა ყო ცთომილებად იგი მამისა თვისისად და წვალებად. ჴანაწესა შეკრებად მღდელთ-მოძღუართად, და იქმნა კრებად იგი მეექუსმ **კონსტანტინეპოლეს** ას სამეოც და რვათა წმიდათა მამათად, და ქადაგეს უფალი იესუ ქრისტემ მკსნელი და მაცხოვარი ჩუენი ორითა ბუნებითა და ორითა ნებითა და ორითა საქმითა — ღმრთეებისა და კაცებისადთა, არა განყოფილებითა პირთა და გუამთადთა, არამედ ორთა ბუნებათა სრულებითა, რამეთუ არცა

ერთი ბუნებათა მისთაგანი იყო თვნიერ ნებისა და საქმისა, რამეთუ რომელნი უარ ჰყოფენ ორთა ნებათა და საქმეთა, იგინი ბუნებათაცა უარ ჰყოფენ და თვითებათა მათთა. სცენეს წინამძღუარ კრებისა მის აგათონ პაპად **პრომისა** და **გიორგი** პატრიარქი **კოსტანტინეპოლისა** და **თეოფანე ანტიოქისა**, რომელი მას ოდენ კრებასა დაადგინეს, და **მაკარი**, რომელი იყო პირველ მისა, განკუთვთეს. ოა მის თანა სხუანი მწვალებელნი შეაჩუენნეს, **ონორი**, რომელი ყოფილ იყო **პრომს**, და **კკროზ ალექსანდრიელი**, **თეოდორე ფარანელი**, **სერგიოს** და **პიროს** და **პავლე** და **პეტრე კოსტანტინეპოლელი**, **მაკარი ანტიოქელი** და **სტეფანე** მოწაფე მისი, რამეთუ ამათ ყოველთა იკადრეს თქუმად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითს, ვითარმედ ერთი ნება და ერთი ხოლო საქმე აქუნდა შემდგომად განკაცებისაო; რომელი ესე უარის-ყოფად არს ორთა ბუნებათა. ზემოცსენებულთა მათ მწვალებელთა თანა შეაჩუენნეს **პოლიზრონიოსცა** უგუნური იგი და ცოფი ბერი, რომელმან იქადა ესევიტარსა მას წვალებასა შინა აღდგინებად მკუდრისა, ხოლო მამათა მათ წმიდათა მისცეს ფლობად აღდგინებად და ვითარ იგი ვერარად აღადგინა, უმეტესად განაქიქა გმობად თესი. ომან წმიდამან მეექუსემან კრებამან ას სამეოც და რვათა მამათამან, რომელნი შეკრბეს **კოსტანტინეპოლეს**, სამეუფოსა პალატსა, და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება და დაწერეს ძეგლი ღმრთის-მეტყუელებისა, პირველად აცსენეს სარწმუნოებად განწყესებულნი **ნიკიისა** კრებისა და სამას ათრვამეტთა მამათად, და **კოსტანტინეპოლისა** ას ორმეოც და ათთა მამათად, და **ეფესოისა** ორასთა მამათად, და **ქალკიდონისა** ექუს ას ოც და ათთა მამათად, და **კოსტანტინეპოლისა** ას სამეოც და ათთა მამათად, და ყოველივე ხუთთა მათ კრებათა მიერ ქადაგებული შეიწყნარეს და დაამტკიცეს. ოა რომელნი მათ განეკუთვნეს და შეეჩუენნეს — შეაჩუენნეს, და რომელნი მათ ედიდნეს — ადიდნეს, და მერმე ახლად შემოსრული იგი წვალებად ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა მეტყუელთა სრულიად განაგდეს, და მეტყუელნი იგი ესევიტარისა მის წვალებისა, ვითარცა ზემოწერილ არს, შეაჩუენნეს. ოა ებისტოლმ მოწერილი **აგათონ პრომთა** პაპისა და **კოსტანტინე** მეფისა მომართ შეიწყნარეს, შემსგავსებულად ებისტოლისა მის დიდისა **ლეონისა პრომთა** პაპისა, რომელი მოწერა კრებასა **ქალკიდონისასა**. ოა კრებად იგი ას ოც და ოთხთა ებისტოპოსთა, რომელნი **პრომს**

შეკრბნა ღირსმან **აგათონ**, და ყოველი მათ მიერ თქმული და განწყესებული დაამტკიცეს და ერთ კრებად შეჰრაცხნეს ას სამეოც და რვათი **კოსტანტინეპოლისანი**, და ას ოც და ოთხნი **პრომისანი**; და წმიდად **მარტინე პრომისა** პაპად და წმიდად **მაქსიმე** აღმსარებელი კმამაღლად ადიდნეს, და საცსენებელად საუკუნოდ ნეტარება და ქება მათი განაწესეს.

34. ჰოვიდა ღმრთის-მსახური იგი **კოსტანტინე** მეფე და დაჯდა შორის წმიდათა მათ მამათა, მიიღო ძეგლი იგი მართლისა სარწმუნოებისა მწიგნობართა-მთავარმან პატრიარქისამან, პატრიოთა მთავარდიაკონმან, და კმამაღლად წარიკითხა, და ესრეთ წერილ იყო: «დიდმან ამან და ყოვლისა სოფლისაგან ნებითა და მადლითა ღმრთისადა და ბრძანებითა მორწმუნისა და ღმრთის-მსახურისა მეფისა **კოსტანტინესითა** შემოკრებილმან ღმრთივ-დაცულსა სამეუფოსა ქალაქსა მეექუსემან კრებამან ტაძარსა დიდსა პალატისსა ესრეთ აღწერა და განაწესა და ამას იტყვს: ღმრთისა და მამისა მხოლოდ-შობილი ძმ და სიტყუად რომელი იგი ყოვლითურთ მსგავს არს ჩუენდა, კაც იქმნა თვნიერ ცოდვისა. ღრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩუენი წმიდისა სახარებისა ქადაგებითა ესრეთ ბრძანებს: «მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიღგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა» (ინ. 8, 12); და კუალად თქუა: «მშჯლობასა მოგცემ თქუენ, მშჯლობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ» (ინ. 14, 27). ომის ღმრთივ-ქადაგებულისა ჭეშმარიტისა და მიუაჩრდილებელისა ნათლისა ბრწყინვალეებითა განათლდა და შეუდგა მას ღმრთის-მსახური მეფე ჩუენი და მშჯლობად იგი მის მიერ აღთქმული წინამძღუარად მოიღო, და იქმნა მართლმადიდებლობისა შემწე და წვალებისა წინააღმდეგომ, ამისთესცა წმიდად ესე და სოფლიოდ კრებად ღირსთა ამათ მღუდელთ-მოძღუართად მოსწრაფედ შემოკრება და ყოველივე საესებად ეკლესიისა შეაერთა. ღოლო წმიდამან ამან და პატრიოსმანმან კრებამან მტრისა მიერ დათესული ღუარძლი ყოველივე ეკლესიისაგან აღმოფხურა, და ყოველი წვალებისა უშჯულოებად განიოტა და სწავლასა დიდთა და ღმრთის მიერ გამორჩეულთა მამათასა შეუდგა და წმიდათა მათ და ყოვლისა სოფლისა განმანათლებელთა ხუთთა კრებათა თანა ყოვლითურთ ერთნება და ერთგანზრახვა იქმნა: პირველად სამას ათურამეტთა **ნიკიას** შეკრებილთა წმიდათა მამათა უშჯულოისა **არიოზისა** განმკუთვლთა; მეორედ **კოსტანტინეპოლეს**,



ას ორმოც და ათთა ღმერთ-შემოსილთა მამათა მოტეხელთა ბოროტისა მის **მაკედონიოს** სული-სა წმიდისა მბრძოლისა და **აპოლინარის** უკუეთურისა; მესამედ **ეფესოს** შეკრებილთა ორასთა წმიდათა მამათა, რომელთა არცხენეს უშჯულოსა **ნესტორის**; მეოთხედ **ქალკიდონს** შეკრებილთა, ექუსას ოც და ათთა წმიდათა მამათა შემაჩუენებელთა **ვეტქის** და **დიოსკორომს** და **სებეროსის** მწვალებელთა; მეხუთედ ამას სამეუფოსა ქალაქსა შემოკრებილთა ას სამეოცდა წმიდათა მამათა, რომელთა განკუეთეს **თეოდორე მომფსუეტელი** და **ოროგინე** და **დიდამოს** და **ეფაგრე** და ათორმეტნი იგი თავნი **თეოდორიტენი**, წინააღმდეგომნი ღმერთ-შემოსილისა **კერილესნი**, და ებისტოლმ იგი **იფამსი**, მიწერილი **მარენ სპარსისა** მიმართ, და ყოველივე წვალებამ შეაჩუენეს, და სარწმუნოებამ პირველთა მათ წმიდათა კრებათა მიერ განწესებული დაამტკიცეს. **წ** უკუე ჩუენ ყოველივე წმიდათა მათ კრებათა მიერ ქადაგებულსა სარწმუნოებასა ვქადაგებთ და დავამტკიცებთ, და ესრეთ ვღაღადებთ, შემოკრებილნი წმიდასა ამას კრებასა მეექუსესა: «გურწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდ-შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნული, ერთარსი მამისა, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთვს კაცთათვს და ჩუენისა ცხორებისათვს გარდამოცდა ზეცით და ჯორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და **მარიამისგან** ქალწულისა, და განკაცნა და ჯუარს ეცუა ჩუენთვს პონტიელისა პილატეს ზე, ონო და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მოვალს დიდებით განმჯად ცხოველთა და მეუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ; და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თავანის იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაწარმეტყველთა მიერ; და ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად; აღვიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატეველად ცოდვთა; მოველით აღდგომასა მკუდრეთით და ცხორებასა მერმისა საუკუნოვსა, ამენ».

ჴმა იყო მეცნიერებად და დასამტკიცებელად მართლისა სარწმუნოებისა წმიდად ესე ღმერთ-

შემოსილთა მათ მამათაგან დაწესებული მართლდსარებად, არამედ ვინაფთგან არა დასცხრა პირველთგან მომპოვნებელმან მან უკუეთურებისამან ბრძოლად ნათესავსა კაცთასა, და ვითარცა იგი პირველ თანაშემწედ მოიპოვა გუელი, მის მიერ წამალი იგი გესლიანი სიკუდილისა უწდია ბუნებასა კაცთასა, ვგრეთვე აწ პოვნა ჭურჭელნი შემსგავსებულნი ნებისა თვისისანი, **თეოდორე** ვინმე **ფარანელი** და **სერგიოს** და **პიროს** და **პავლე** და **პეტრე**, რომელნი იყვნეს მღდელთ-მოდღუარ სამეუფოვსა ამის ქალაქისა, ამით თანა **ონორიცა** **პრომის** წინამძღუარი და **კუროზ ალექსანდრიისად**, **მაკარი ანტიოქელი** და **სტეფანე** მოწაფმ მისი. **ს**ე ყოველნი პოვნა ბოროტმან მან მტერმან აღმასრულებელად ნებისა თვისისა და ისწრაფა მათ მიერ აღდგინებად ეკლესიასა შინა საცთური ბოროტი; რამეთუ ამით პირველთქმულთა კაცთა ბირებითა დასაბამითგან კაცის-მკვლელისადა, იკადრეს თქუმად ერთი ნებად და ერთი საქმე, **ორთა** მათ ბუნებათად ერთისა მის სამებისგანისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ამით სახითა განაახლა ერსა შინა ქრისტიანეთასა წვალებამ იგი **აპოლინარისი**, **სებეროსისი** და **თემისტისი**, უშჯულოთა მათ, რადთამცა სრულებამ იგი განკაცებისად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი განაქარვა ესევითარითა მით მზაკუვარებითა, და აჩუენამცა თვინიერ ნებისა და საქმისა ყოფად გონიერად სულიერნი იგი ჯორცნი უფლისანი. **წ**მისთვს აღადგინა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან **მორწმუნე** ესე მეფე ახალი **დავით**, რომელი პოვა გულითადი თვისი, რომელმანცა ვითარცა წერილ არს, არა სცა ძილი თუალთა თვისთა, არცა პრული წამთა თვისთა, არცა განსუენებად ჯორცთა თვისთა, ვიდრემდის ღმრთი-შემოკრებილი ყოვესე კრებად, და წმიდათა ამით მამათა მიერ პოვა სრული იგი მართლმადიდებლობისა ქადაგებად; რამეთუ ვითარცა იტყვს უფალი: «სადა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებილნი სახელითა ჩემითა, მუნ ვარ მე მათ შორის» (მთ. 18, 20). ნეშმარიტად უკუე ჩუენ შორის არს სახიერი იგი და მიძღვს ჩუენ გზასა ჭეშმარიტებისასა.

**წ**მან წმიდამან კრებამან სარწმუნოებით და მოწილედ შეიწყნარა ებისტოლმ წმიდისა და ნეტარისა **აგათონ პრომთა** პაპისად, მოწერილი ღმრთის-მსახურისა მეფისა ჩუენისა **კოსტანტინესა**, რომელსა შინა წერილ არს სახელდებით განკუეთად და განყრად ყოველთად, რომელთა ქადაგეს ერთი ნებად და ერთი საქმე განკაცებასა შინა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა; ვგრეთვე სახედ ას

ოც და ოთხთაცა ღმერთ-შემოსილთა ებისკოპოსთა ებისტოლჴ, რომელნი ღირსსა მას **აგათონს** თანა შეკრებეს, მოწერილი მორწმუნისა ამის მეფისა მიმართ სათნოდ და კეთილად შეიწყნარა, რამეთუ თანაეწამებოდეს ესე ებისტოლენი და დაამტკიცებდეს ებისტოლესა მას ღიდისა **ლეონისსა**, **პრომთა** პაპისა, რომელი მიუწერა წმიდასა **ფლავიანეს კონსტანტინეპოლელ** პატრიარქსა კრებასა მას **ქალკიდონისასა**, რომელსაცა ძეგლი მართლმადიდებლობისაჲ უწოდა წმიდამან ამან კრებამან; ეგრეთვე დაამტკიცა წმიდამან ამან კრებამან ებისტოლენი იგი წმიდისა და ნეტარი-სა **კერილესნი**, განსაკუთრულნი უმჯულომსა **ნესტორისნი** და რაოდენიცა მიუწერა აღმოსავლისა ებისკოპოსთა; ეგრეთვე ებისტოლჴ **სოფრონ იმერუსალემელ** პატრიარქისაჲ. ოსე ყოველი შევიწყნარეთ ჩუენ ყოველთა და სწავლასა ხუთთა კრებათსა და წმიდათა მათ ღმერთშემოსილთა მამათსა შეუდგეით და აღვიარებთ უფალსა ჩუენსა და ჭეშმარიტსა ღმერთსა იესუ ქრისტჴს, ერთსა მას წმიდისა და ერთარსებისა სამებისაგანსა, სრულსა ღმრთეებითა და სრულსა კაცებითა, ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა, თვნიერ ცოდვისა; რომელი იგი უწინარეს საუკუნეთა იშვა მამისაგან ღმრთეებითა, ხოლო უკუანადსკნელთა ჟამთა ჩუენთათჴს და ჩუენისა ცხორებისათვის განკორციელდა სულისაგან წმიდისა და **მარიამისგან** ქალწულისა, ჭეშმარიტისა მის ღმრთისმშობელისა, ბუნებითა მით კაცობრივითა; ერთი უფალი იესუ ქრისტჴ, მხოლოდ-შობილი ორითა ბუნებითა, შეურევნელად, უცვალებელად, განუყოფელად, განუშორებელად ცნობილი, რამეთუ განყოფილებად იგი ბუნებათაჲ არა შეირია, არცა დაიკვნა ერთობითა მით გუამისაჲთა, არამედ უფროსდა მტკიცე იყო თუთებაჲ ორისაჲე ბუნებისაჲ, შეკრებულ ერთ პირად და ერთ გუამად, რამეთუ არა ორად პირად განიკუეთა ანუ განეყო ორ გუამოვნებად, არამედ იგივე ერთი მხოლოდ-შობილი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, უფალი იესუ ქრისტჴ ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა და ორითა საქმითა, ვითარცა პირველითგან წინაწარმეტყველთა ქადაგეს, და თავადმან იესუ ქრისტჴმან გუასწავა და წმიდათა მოციქულთა გუაუწყეს, და ღმერთ-შემოსილთა მამათა გუასწავეს, ვქადაგებთ ჩუენცა ორთა ბუნებათა, და ორთა ბუნებითა ნებათა და ორთა ბუნებითა საქმეთა, და ორთა ბუნებითა ნებათა — არა წინააღმდეგობთა, ნუ იყოფინ, ვითარცა უმჯულონი მწვალებელნი იტყუან, რამეთუ შეუდგა კაცობრივი იგი ნებაჲ მისი საღმ-

რთოსა ნებასა, და არა წინააღმდეგომ იყო ანუ მეტრძოლ, არამედ უფროსად ჰმორჩილებდა საღმრთოსა მას და ყოვლადმღიერსა ნებასა მისსა, რამეთუ ჯერ იყო ნებისა მის კორცთაჲსა აგებულებაჲ და ღამორჩილებაჲ ნებასა მას ღმრთეებისასა, ვითარცა იტყვს ღიდი **ათანასე**, რამეთუ ვითარცა კორცნი მისნი კორც სიტყვსა ღმრთისა ითქუმიან და არიან, ეგრეთვე ბუნებითი იგი ნებაჲ კორცთა მისთაჲ თჴსად სიტყვსა ღმრთისა ითქუმის და არს, ვითარცა თჴთ თავადი იტყვს, ვითარმედ: «გარდამოვკედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ» (ინ. 6,38). თჴსად ნებაჲ ნებასა მას კორცთასა იტყოდა, რამეთუ კორცნიცა მისნი იყვნეს, და ვითარცა წმიდანი იგი უბიწონი კორცნი განღმრთობითა არა განილინეს, არამედ თჴსსა წესსა და ბუნებასა ევნეს, ეგრეთვე კაცობრივი ნებაჲ მისი შეერთებითა ღმრთეებისაჲთა არა განილია, არცა განქარდა, არამედ უფროსად განემტკიცა, ვითარცა იტყვს **გრიგოლ** ღმრთისმეტყუელი, ვითარმედ: «ნებაჲ იგი მაცხოვრისაჲ არა წინააღმდეგომ საღმრთოჲსა ნებისა იყო, არამედ ყოვლითურთ განღმრთობილ და მიმყოლელ ნებასა საღმრთოსაჲ»; ეგრეთვე ორთა ბუნებითთა საქმეთა განუყოფელად, უცვალებელად, შეურევნელად უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა აღვიარებთ, ესე იგი არს — საღმრთოსა საქმესა და კაცობრივსა საქმესა, ვითარცა იტყვს ღმერთშემოსილი **ლეონ** განცხადებულად, ვითარმედ: «თითოეული ბუნებაჲ მისი იქმს წესსა თჴსსა ზიარებითა მეორისაჲთა, ბუნებაჲ იგი სიტყვსაჲ იქმს საქმეთა სიტყვსაჲთა და ბუნებაჲ კორცთაჲ იქმს, რაჲ იგი შეჰგავს კორცთაჲ»; რამეთუ არა ეგების თქუმაღ თუ ერთ არს საქმე ბუნებითი ღმრთეებისაჲ და კორცთაჲ, რაჲთა არცა დაბადებული არსებასა მას ღმრთეებისასა აღვიყვანოთ, არცა სიმაღლჴ იგი და საკურველებად საღმრთოჲსა ბუნებისაჲ დაბადებულთა და განწესებულსა ადგილსა შთამოვიყვანოთ.

ორთისა უფლისა, ერთისა ქრისტესი ვიცნით სასწაულნიცა და ვნებანიცა, არამედ სხუად და სხუად სახედ შემსგავსებულად ბუნებათა მათ, რომელთაგან და რომელთა შინა იყო, ვითარცა ნეტარმან **კჳრილე** თქუა. **წჴ** უკუე ყოვლით-კერძო შეურევნელად და განუყოფელად საიდუმლოსა მას ვქადაგებთ და მოკლითა სიტყვთა ყოველსა განვაცხადებთ. **თა** გურწამს ერთი წმიდისა სამებისაგანნი უფალი ჩუენი იესუ ქრისტჴ, ღმერთი ჭეშმარიტი, შემდგომად განკაცებისა ორითა



ბუნებითა, რომელნი იგი ერთსა მას გუამსა მის-  
სა შინა ბრწყინვიდეს, რომლითა სასწაულნიცა  
და ვნებანი ჟამთა მათ განგებულებისა მისისათა  
არა უცნებით, არამედ ჭეშმარიტებით არუენა, და  
განყოფილებად იგი ბუნებათა ერთსა მას გუამ-  
სა შინა იცნობებოდა, რაჟამს იგი ზიარებითა  
მეორისადათ თითოეული ბუნებად განუყოფელად  
და შეურევნელად თვსსა საქმესა ინებებდა და  
იქმოდა. ომით სახითა ორთა ბუნებითა ნებათა  
და საქმეთა უფლისათა ვქადაგებთ საცხორებე-  
ლად კაცთა შეკრებილთა. **სე** ყოველი მრავლითა  
კრძალულებითა და ჭეშმარიტებითა გურწამს და  
აღვიარებთ და ვქადაგებთ და ესრეთ განგაწესებთ,  
რადთა ამიერიტგან ამის სარწმუნოებისა გარეშე  
სხუად სარწმუნოებად ვერვინ იკადროს თქუმად  
ანუ აღწერად ანუ სწავლად. **მკუეთუ** კულა იპოოს  
ვინ სხუად სახედ შემცვალბელი ამის მართლისა  
აღსარებისა და ასწაოს, ანუ წარმოთქუას, ანუ  
აღწეროს სხუად რადმე განდრეკილი სარწმუნოე-  
ბად, შეჩუენებულმცა არს და განკუეთილ. **მკუეთუ**  
მდღელობად აქუნდეს, უცხო იყავნ პატოისა მის-  
გან. **მკუეთუ** მონაზონი იყოს ანუ ერისკაცი იყოს,  
წყევასა ქუეშე იყავნ.

**სოსტანტინე** ღმრთის-მსახურმან თქუა: «იტყ-  
ოდენ წმიდად გეე ღმრთიე-შემოკრებილი კრებად,  
წამებითა და ნებითა და განზრახვითა თქუენ ყო-  
ველთადათა აღწერილ არსა ძეგლი ესე სარწმ-  
უნოებისად, რომელი წარიკითხეს?» წმიდამან  
კრებამან კმა ყო: «ყოველთა ესრეთ გურწამს, ყო-  
ველნი ესრეთ აღვიარებთ, ყოველთა გონებად და  
სარწმუნოებად ერთ არს; ყოველთა წამებად ჩუ-  
ენი კაცად-კაცადსა თვსითა კელითა დაგვწერ-  
ია, ყოველნი მართლმადიდებელნი ვართ, ესე არს  
სარწმუნოებად მოციქულთა, ესე არს სარწმუნ-  
ოებად მამათა, ესე არს სარწმუნოებად მართ-  
ლმადიდებელთა. ოდიდენ ღმერთმან მეფობად  
თქუენი; აღსარებად ორთა ბუნებათა ქრისტესათა  
სრულებით შენ დაამტკიცე. ოდასრულენ ქრისტე-  
მან შენ ზედა დიდი წყალობად მისი; მწვალბებელნი  
ყოველნი შენ იოტენ, დაგიცვიენ უფალმან მართე-  
ბელი გეე მწვალბებელთა; მშვიდობად ღმრთისად  
იყავნ მეფობასა ზედა თქუენსა, შენ მიერ წმიდისა  
კათოლიკე ეკლესიისა მშვიდობად იქმნა. **სოსტან-  
ტინე** ახლისა მეფისა და შვილთა მისთა წელნი  
მრავალმცა არიან. **მკუეთუ** ზეცათაო, მეფე ქუ-  
ენისად დაიცვე.

**ჩესტორო** და **ვეტკქოს** და **სებეროს** შეჩუენებ-  
ულმცა არიან, **სერგიოს** და **ონორიოს**, **პიროს**  
და **პავლე** და **პეტრე**, **კეროზ**, **თეოდორე** ფარ-

**ანელი**, **მაკარი**, **სტეფანე** და **პოლიზრონი** მწვა-  
ლებელნიცა შეჩუენებულ არიან. **ყოველნიცა**  
მწვალბებელნი შეჩუენებულ არიან, რომელთა ქა-  
დაგეს, ანუ რომელნი ქადაგებენ, ანუ ქადაგონ  
ერთი ნებად და ერთი საქმე, ანუ ერთი ბუნებად  
ღმრთეებისა და კაცებისა ქრისტესი, შეჩუენებ-  
ულმცა არიან.

**სოსტანტინე** მართლმადიდებელის მეფისა  
საცხენებელი საუკუნო იყავნ. **პარტინე** ღმერთ-  
შემოსილისა **პრომთა** პაპისა საცხენებელი სა-  
უკუნო იყავნ. **პაქსიმეს** სანატრელისა მამისა  
ჩუენისა ქრისტეს-აღმსარებელისა საცხენებელი  
საუკუნო იყავნ. **სოფრონ** **ისტრუსალიმელ** პატრი-  
აქისა საცხენებელი საუკუნო იყავნ. **ყოველთა**  
მართლმადიდებელთა მდღელთ-მოძღუართა და  
მამათა მართლგამომეტყუელთა სიტყუასა მას  
ჭეშმარიტებისასა საცხენებელი საუკუნო იყავნ».

**სოსტანტინე** ღმრთის-მსახურმან მეფემან თქუა:  
«დადაცათუ დაშურა სიწმიდმ თქუენი შორთა გზ-  
ათა მოსლვითა და აქა მრავალთა დღეთა დაყოფ-  
ნებითა, არამედ ჯეროვანი სასყიდელი შრომისა  
თქუენისად ზეგარდამო მოგეცეს კეთილისა ამის  
საქმისათვს, ზოლო ჩუენისაცა მეფობისაგან კა-  
ცად-კაცადისა თქუენ ყოველთა კეთილი ნაც-  
ვალი განშადაბულ არს; რამეთუ მრავალი იგი  
ცთომად, რომელი შემოვიდა სარწმუნოებასა ზედა  
მართალსა, და განწვალებად იგი და განხეთქილე-  
ბად ეკლესიისად განაქარვეთ და ერთ სარწმუნ-  
ოებად ყოველნი შემოგვრბით, რადთა მოვიდოთ  
წყალობად და ცხორებად სულთა ჩუენთა, სახი-  
ერებითა უხუად-მიმნიჭებელისა ღმრთისადათ და  
მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩუენისა  
ღმრთისმშობელისადათ და ლოცვითა თქუენ ყო-  
ველთადათ, ამინ».

**პაშინ** ღმრთის-მსახურმან მან მეფემან თვსითა  
კელითა დაწერა სინგურიითა წამებად და დამტ-  
კიცებად ძეგლსა მას სარწმუნოებისასა, და იქმნა  
ერთობად კათოლიკე ეკლესიისად, და სინარული  
დიდი, და ყოველთა მადლობად შეწირეს ღმერთსა.  
**ხოლო** მეფემან წმიდათა მათ მდღელთ-მოძღუარ-  
თა დიდად პატოე-სცა და კაცად-კაცადსა მრავლი-  
თა ნიჭითა და ქველის-მოქმედებითა კეთილი უყო  
და ფრიადითა არზანიგითა წარგზავნა საყდართა  
თვსთა. ომან წმიდამან მეექუსემან კრებამან დიდნი  
ქველის-საქმენი აღასრულა და მრავალნი წესნი  
და კანონი ეკლესიისანი განაწესნა, რომელნი იგი  
წერილ არიან რჩულისა-კანონსა შინა, სარგებ-  
ელად მორწმუნეთა და სამკაულად ეკლესიათა.

**35.** ომათ ყოველთა საღმრთოთა საქმეთა და

მართლისა სარწმუნოებისა დამამტკიცებელად და ბოროტისა მის წვალებისა წინააღმდეგოდ, პირველითგან ვიდრე აღსასრულადმდე წმიდად და ნეტარი მამად ჩუენი **მაქსიმე** გამოაჩინა ღმერთმან, რამეთუ მისითა მოღუაწებითა და მოძღუ-  
რებითა გულისკმა-ყვეს ყოველთა საცთური იგი წვალებისად მის; და მან აღადგინნა საღმრთოდ შურად მღდელთ-მოძღუარნი იგი **პრომისანი**. **წი-**  
**დრე** სიკუდილადმდე ილუაწა ჭეშმარიტებისათჳს და მართლისა სარწმუნოებისა. **წრამედ** აწ შენდა მომართვე მოვაქციო სიტყუად ჩემი.

მ ბრძენთა-მთავარო და სრულო ფილოსოფოს-  
თა შორის, სამკაულო მონაზონთაო, და შუენიერო მოღვაწეთა შორის, და მოწამეო ჭეშმარიტებისაო, დიდებული **მაქსიმე**: ვითარმე შეგამკო შენ, ანუ  
ვითარმე გაქებდე, რომლისა გეგ ქებად ღმრთისა მიერ არს, მოვედ სულითა ჩუენდა და მოგუეც სი-  
ტყუად ქებად შენდა. მ მამხილებელო ცუდისა მის და განქარვებადისა სიბრძნისაო, მოძღუარო და  
მასწავლებელო ჭეშმარიტისა მის და საღმრთოისა სიბრძნისაო, რამეთუ «დასაბამი სიბრძნისად არს

შიში უფლისად» (იგ. 1,7; 9,10). მ საუნჯეო სათ-  
ნოებათაო, საქმით და სიტყვით და გულის-ხმის ყოფით მობაძაო ანგელოზთაო, რომელმან მოქა-  
ლაქობად იგი უკორცოთად მოიგე კორცითა მით  
5 მოკუდავითა და უძღურითა, მოვედ ჩუენდა საესწ  
მადლითა სულიერითა, გუასწავე ვითარ ჯერ-არს  
ქებად და შესხმად შენი, მოჰფინე ჩუენ ზედა მად-  
ლი შენი, და მეოხებითა შენითა წარგუძელე გზასა  
ცხოვრებისასა, ღირს გუყვენ სწავლათა და მოძღუ-  
რებათა შენთა აღსრულებად, რამეთუ დაღაცა-  
10 თუ წარხუედ ამიერ სოფლით, არამედ ცხოველ  
ხარ წინაშე ღმრთისა, რომლისათჳსცა ილუაწე.  
მ ქადაგო მართლმადიდებლობისაო, საწერტე-  
ლო და მამხილებელო მწვალებელთაო, ნესტო  
15 ეკლესიისაო, მართლგამომეტყუელო სიტყუასა  
მას ჭეშმარიტებისასა, მართლმადიდებელო და  
მართლადმსარებელო მამისა და ძისა და სულისა  
წმიდისაო, რომელსა შუენის ყოველივე დიდებად  
პატფი და თაყუანისცემად, აწ და მარადის და  
უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

